People run away from the war in Abkhazia in the 90s... 2008 - Gori... 2022 in Ukraine...
They stop to take a breath and decide where they want to go...
This place is a dumping ground for past life memories.. What is it
From here crucial and necessary? Maybe books... or maybe something else... maybe?...
How to learn to dream again, to believe... to trust others...
questions... Questions... Questions....

## ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘ
# ᲛᲔᲤᲔ ᲚᲘᲠᲘ

**რეჟისორი:** დავით დოიაშვილი

**თეატრი:** ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრი

**მასპინძელი თეატრი:** თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული ახალი თეატრი

**თარიღი:**

**22 სექტემბერი - 19:00 სთ,**

**23 სექტემბერი - 19:00 სთ,**

**24 სექტემბერი - 19:00 სთ,**

**ხანგრძლივობა: 180 წუთი**

## WILLIAM SHAKESPEARE
# KING LEAR

**Theatre:** Vaso Abashidze State Professional `NEW THEATRE"

**Hosting Theatre:** Tbilisi Vaso Abashidze State Professional “New Theatre”

**Date:**

**22 September - 19:00 hr,**

**23 September - 19:00 hr,**

**24 September - 19:00 hr,**

**Duration: 180min.**

# ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

## თეატრის შესახებ:

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი, 1936 წლიდან დღემდე, აქტიურად მასპინძლობს პატარა მაყურებელს. მიმდინარე, 86 - ე ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი, 1936 წლიდან დღემდე, აქტიურად მასპინძლობს პატარა მაყურებელს. მიმდინარე, 86 - ე თეატრალური სეზონი დატვირთულია ერთმანეთისაგან ჟანრობრივად და კონცეპტუალურად განსხვავებული სპექტაკლებით. სხვადასხვა თაობის, ადგილობრივი, თუ მოწვეული რეჟისორები, ინდივიდუალური ხედვითა და განსხვავებული მსოფმხედველობით ქმნიან წარმოდგენებს. რეპერტუარის ნაწილი შერჩეულია სასკოლო პროგრამის და ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით. თეატრში იდგმება როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე ავტორების პიესები, რაც ქმნის საერთო სურათის მრავალფეროვნებას.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი არის ადგილი, სადაც აქტიურად იმართება სახელოვნებო ღონისძიებები: გამოფენები, წიგნის პრეზენტაციები, შეხვედრები, მასტერკლასები. ამ აქტივობებში ქალაქის ახალგაზრდა თაობა აქტიურად არის ჩართული. ეს გახლავთ ერთგვარი კოლაბორაცია ახალი თაობის მაყურებელსა და თეატრს შორის, რაც სამომავლოდ თეატრისადმი ინტერესს უფრო აღრმავებს და ხელს უწყობს ახალ სახელოვნებო ძიებების პროცესს. 2022 წლიდან თეატრი, ახორციელებს პროექტს - „თეატრისაგან საჩუქარი აჭარის მუნიციპალიტეტებს." ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა პროექტებზე - „ბათუმის თოჯინების საერთაშორისო ფესტივალი" და სატელევიზიო პროექტი - „ტიკინების შოუ."

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრის შენობა ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური არქიტექტურული ძეგლია, არა მხოლოდ ბათუმში, არამედ მთელ საქართველოში. ამის გამო, მას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

### საკონტაქტო პირი და თანამდებობა:

მარეხ ტუღუში - პიარ-მენეჯერი
Tel: +995 577 18 04 05
Email: puppettheatre@outlook.com

# BATUMI PUPPET AND YOUTH PROFESSIONAL STATE THEATRE



## ABOUT THE THEATER:

Since 1936, the Batumi Puppet and Youth Professional State Theater has been actively hosting small audiences. The current 86th theater season is loaded with performances that are different in terms of genre and concept. Directors of different generations, local or invited, create performances with an individual vision and a different worldview. Part of the repertoire is selected, taking into account the school program and age limit. Plays by both classical and modern authors are staged in the theater, which creates variety in the stage picture.

Batumi Puppet and Youth Professional State Theater is a place where artistic events are actively held: exhibitions, book presentations, meetings, and master classes. The young generation of the city is actively involved in these activities. This is a kind of collaboration between the audience and the theater of the new generation, which in the future will deepen interest in the theater and promote the process of new artistic searches.

Since 2022, the theater has been implementing the project - "A gift from the theater to the municipalities of Adjara."

Nowadays, work is in a process on the projects - "Batumi International Puppet Festival" and the TV project - "Tikini Show".

The building of the Batumi Puppet and Youth Professional State Theater is one of the oldest and unique architectural monuments, not only in Batumi but in Georgia. Because of this, it has been granted the status of a cultural heritage monument.

**Conact Person:**

Marekh Tughushi (PR Manager)
Tel: +995  577 18 04 05
Email: puppettheatre@outlook.com

# ᲖᲣᲠᲛᲣᲮᲢᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ

**ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ:**
2022 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

**ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ:**
60 ᲬᲣᲗᲘ, ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ





**რეჟისორი:** იოსებ ბაკურაძე
**თეატრი:** ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი
**მასპინძელი თეატრი:** კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი
**თარიღი:** 26 სექტემბერი - 16:00 სთ.

**ფრენკ ბაუმი**
**ინსცენირება:** იოსებ ბაკურაძე
**რეჟისორი:** იოსებ ბაკურაძე
**სცენოგრაფია და კოსტიუმები:** გიორგი გოგიტიძის
**კომპოზიტორი:** სანდრო ნიკოლაძე
**რეჟისორის თანაშემწე:** ნანა თოლორდავა

**მონაწილეობენ:** სალომე ცაგურია, მერი დიასამიძე, ქეთევან სამხარაძე, ეკატერინე გვარამია, ლევან მიდილიში, რევაზ ხოფერია, თედო ტუღუში, ალექსანდრე გაბაიძე, მინდია ჩოხარაძე, ნინო დავითაშვილი, ირინე ღლონტი, სოფიო ცინცაძე, მარიკა ბულეიშვილი

**სპექტაკლის შესახებ:**

ფრენკ ბაუმის ნაწარმოების „ოზის საოცარი ჯადოქარი"-ს მიხედვით, რეჟისორი იოსებ ბაკურაძე, ნაწარმოების ახალ - ორიგინალურ ვერსიას გვთავაზობს. ეს არის ამბავი გოგონაზე, რომელიც უცნაურ, ჯერ არნახულ ქვეყანაში აღმოჩნდება. დოროთი თავის ძაღლთან - ტოტოსთან ერთად, საფრთხობელას, თუნუქის კაცსა და მხდალ ლომს უმეგობრდება. ისინი ოზის ჯადოქართან შეხვედრას გადაწყვეტენ. სწორედ აქ აღმოვჩნდებით დაბრკოლებებითა და დაუჯერებლობით სავსე თავგადასავალში. სპექტაკლის იდეურ - თემატური ჩანაფიქრი ადამიანის მიზნებზე, თვითრწმენაზე, სიკეთესა და შესაძლებლობებზეა. სანახაობრივად დატვირთული სცენები შერეული ტიპისაა (ცოცხალი და თოჯინური პლანი), სწორედ, ეს ანიჭებს სპექტაკლს განსაკუთრებულობულობას, როდესაც თოჯინის პარალელურად, იმავე პერსონაჟს ცოცხალი მსახიობი განასახიერებს. რეჟისორის კონცეფცია, კომპოზიტორის მიერ შექმნილი ორიგინალური მელოდიები და სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ქმნის საერთო, ჯადოსნურ ატმოსფეროს.

სამოცი წუთის მანძილზე მსახიობები და თოჯინები, პატარა მაყურებელს ზურმუხტქალაქის დაუვიწყარ სამყაროში ამოგზაურებს.

AUTHOR OF THE ORIGINAL VERSION L. FRANK BAUM

# THE WIZARD OF THE EMERALD CITY

**DATE OF THE PREMIERE:**
DECEMBER 15, 2022

**DURATION:**
60 MIN.
WITHOUT INTERMISSIONS





**Director:** Ioseb Bakuradze
**Scenic Designer:** Giorgi Gogitidze
**Costumes Designer:** Giorgi Gogitidze
**Composer:** Sandro Nikoladze
**Assistant Director :** Nana Tolordava

**Cast:** Salome Tsaguria, Meri Diasamidze, Ketevan Samkharadze, Ekaterine Gvaramia, Levan Midilishi, Revaz Khoferia, Tedo Tughushi, Aleksandre Gabaidze, Mindia Chokharadze

**Short annotation about performance:**
The director Ioseb Bakuradze created a new version of Frank Baum's work The Wonderful Wizard of Oz. It tells a story of Dorothy, who finds herself in a strange, utopian country. Along with her dog Toto, she befriends the Tin Man and the Cowardly Lion, and together they decide to find the Wizard of Oz. This is where we find ourselves in an adventure full of obstacles and disbelief. The idea of the play is about objectives, self-belief, kindness, and capability. The scenes use a mixture of performance forms (body and puppet). What makes the performance special is when the same character is played by an actor alongside the puppet. The director's concept, the composer's original melodies and the artistic designs of the performance together create a magical atmosphere.
For sixty minutes, actors and puppets will take the young audience on a journey to the unforgettable world of the Emerald City.

# გაბრიაძის თეატრი

## თეატრის შესახებ:

გაბრიაძის თეატრი თბილისის ძველ უბანში, შავთელის #13-ში მდებარეობს. ის 1981 წელს რეზო გაბრიაძემ დაარსა და სულ 80 მაყურებელზეა გათვლილი. ეს უნიკალური საავტორო თეატრია, რომელიც ერთი ადამიანის შემოქმედებითი ენერგიით შეიქმნა. რეჟისორი, დრამატურგი, მხატვარი და მოქანდაკე რეზო გაბრიაძე თავად წერდა პიესებს, ქმნიდა თოჯინებს და მათ თავისი თეატრის სცენაზე აცოცხლებდა. თეატრმა გააერთიანა ერთ სივრცეში რეზო გაბრიაძის მრავალმხრივი შემოქმედება.
მარიონეტების თეატრში დაიდგა შემდეგი სპექტაკლები: „ალფრედი და ვიოლეტა“, „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“, „ტრაპეზუნდის იმპერატორის ქალიშვილი“, „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“, „სტალინგრადი“, „რამონა“.
არსებობის 40 წლის განმავლობაში გაბრიაძის თეატრმა მრავალი ქვეყანა მოიარა და ბევრ საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, მათ შორისაა: ავინიონის ფესტივალი (საფრანგეთი), სპოლეტოს ფესტივალი (იტალია), ლინკოლნ ცენტის ფესტივალი (ნიუ იორკი, ა.შ.შ.), კენედის ცენტრის ფესტივალი (ვაშინგტონი, ა.შ.შ.) ედინბურგის ფესტივალი (ედინბურგი, დიდი ბრიტანეთი), ბარბიკან ცენტრის ფესტივალი (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) და სხვ.
გაბრიაძის გმირების იუმორი, დარდი თუ სიხარული მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გასაგებია, რადგან მისი ხელოვნების ენა უნივერსალურია.
რეზო გაბრიაძე 2021 წელს გარდაიცვალა, მაგრამ “საქართველოს ეროვნული განძი”, როგორც მას ხშირად იხსენებენ უცხოურ პრესაში, აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას, მისი ხელოვნება ისევ ახდენს ზეგავლენას კულტურაზე და წარუშლელ კვალს ტოვებს მაყურებელზე.
2019 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ლეო გაბრიაძე.

**საკონტაქტო პირი:**

თამთა თურმანიძე, ლიტერატურული ნაწილის უფროსი
Tel: 599573470
Email: tamta_ge@yahoo.co.uk

**WWW.GABRIADZE.COM**

# GABRIADZE THEATRE

## ABOUT THE THEATER:

The Gabriadze Theatre stands in the heart of Tbilisi's historical Old Town. It was founded in 1981 by Rezo Gabriadze and could house only 80 people. Despite of its size, The Gabriadze Theatre is among the world's preeminent cultural institutions. It is a unique theater, created with the artistic energy of an outstanding person -- screenwriter, director, painter, and sculptor Rezo Gabriadze, who wrote the plays, created the puppets, and brought them to life on the stage of his theater. This theater unified the versatile aspects of Rezo Gabriadze's creativity into one space.
The current performances at the Gabriadze Theatre are Alfred and Violette, Marshal de Pantie's Diamond, The Autumn of my Springtime, Daughter of the Trebizond Emperor, Stalingrad and Ramona.
The humor, sadness, and happiness of Gabriadze's characters are easily understandable around the world, as the language of his art is universal. Rezo's stories show us the wholeness of human experience and leave us laughing through the tears.
The Gabriadze Theatre company has toured extensively to venues including New York Lincoln Center festival, the Avignon Festival, Spoleto Festival, The Edinburgh Festival, Bogota Theater Festival, San Sebastian Festival in Spain, Toronto World State Festival, Barbican Center in London, Theater de la Villein in Paris, Kennedy Center Festivalin Washington D.C., etc.
Each marionette is unique and gifted with enough emotion and expressive power to rival any actor of flesh and blood. Noticeably, although performed by marionettes, these stories are not for children.
Rezo Gabriadze, who is often referred to as "a Georgian national treasure", passed away in 2021, but his profound influence on the culture lasts. His works continue to impact those who experience them.
Since 2017 Gabriadze Theatre has been under the artistic direction of Leo Gabriadze.

### Contact Person :

Tamta Turmanidze, Head of Literature Department
Tel: 599573470
Email: tamta_ge@yahoo.co.uk

## WWW.GABRIADZE.COM

რეზო გაბრიაძე

# მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი



**რეჟისორი:** ლეო გაბრიაძე
**სცენოგრაფია:** თენგიზ მირზაშვილი, რეზო გაბრიაძე
**კოსტიუმების მხატვარი:** რეზო გაბრიაძე
**ქორეოგრაფი:** მიხეილ ზაქაიძე
**კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება:** ლეო გაბრიაძე

**როლებს ახმოვანებენ:**
**თავადი ვანო** - ეროსი მანჯგალაძე
**ხეჩო** - რამაზ ჩხიკვაძე
**წამყვანი** - ოთარ ბაღათურია
**პლესი პიკე** - ზაზა პაპუაშვილი
**ხანუმა** - ნანა შონია
**ზიპო** - გოგა პიპინაშვილი
**მარკიზა, ქეთო** - ნატუკა კახიძე
**მადამ იქსი** - ნათია კავსაძე
**პორფილე** - გია აბესალაშვილი
**ვიცე პრეზიდენტი** - ლაშა რამიშვილი
**პოჩტმაისტერი** - მერაბ შარიქაძე
**ალექსანდრ გუსტავი** - ვანო დუგლაძე
**ძმები ტეჟეები** - ნიკა კვანტალიანი
**თეკლა** - ნანუკა ხუსკივაძე
**ტაში კოლა** - ალეკო ბეგალიშვილი

**ანიმატორები:**
ნიკო გელოვანი, თამარ ამირაჯიბი, ბადრი გვაზავა, ირაკლი შარაშიძე,
მედეა ბლიაძე, თამარ კობახიძე, ნათია დემეტრაშვილი, მარიამ იკოშვილი,
გიორგი გიორგობიანი, მი- ხეილ ბარნოვი, ბენო ჯიჯიაშვილი,
ქეთევან კირტავა

## სპექტაკლის შესახებ:

XIX საუკუნე, ტფილისი, ქეთოსა და კოტეს ქორწილი მტკვრის პირას. ნადიმს პოჩტმაისტერის მოულოდნელი გამოჩენა შეწყვეტს. სუფრის თამადა, გაღარიბებული გენერალი ვანო ფანტიაშვილი ღებულობს ორ დეპეშას საფრანგეთიდან. პირველი იუწყება თავადის ბიძის, მარშალ დე ფანტიეს გარდაცვალების ამბავს, მეორე კი, გენერალ ფანტიაშვილს მსოფლიოში უდიდესი ბრილიანტის, “მონტე როზას” მემკვიდრედ აცხადებს.
აქედან იწყება თავადისა და მისი ამალის, ძველი ტფილისის კოლორიტული პერსონაჟების, მოგზაურობა პარიზში, მხიარული თავგადასავლებითა და ინტრიგებით. რა ბედი ელით პარიზში გალანტურ გენერალ ფანტიაშვილს და მის თანმხლებ პროლეტარ ხეჩოს, ფინანსისტ ზიპოს, მემანქანე პორფილეს და განთქმულ ტიფლისელ მაჭანკალ ხანუმას? რამ შეიძლება აიძულოს ნაპოლეონთან ბრძოლებში გამობრძმედილი გენერალი უარი თქვას მსოფლიოში ყველაზე დიდ ბრილიანტზე?
თავად რეზო გაბრიაძე ასე იხსენებს სპექტაკლზე მუშაობას: “ძალიან დიდი ხნის წინ რუსთაველის თეატრში იდგმებოდა მხიარული სპექტაკლი “ხანუმა”, მას ხმაურიანი წარმატება ჰქონდა. ამ სპექტაკლის რეჟისორმა რობერტ სტურუამ, კომპოზიტორმა გია ყანჩელმა და მთავარი როლის შემსრულებელმა ეროსი მანჯგალაძემ შემომთავაზეს დამეწერა მისი გაგრძელება, ან რამე ამდაგვარი. ახალგაზრდა ვიყავი და დავთანხმდი.
წარმოიშვა პრობლემა - ვინაიდან მე ქუთაისელი, იმერელი გახლავართ, ჩემი ლექსიკა და ინტონაცია თბილისურისგან განსხვავდებოდა. ვიდრე მუშაობას დავიწყებდი, ბევრ თბილისურ ლიტერატურას გადავხედე, გაზეთებსა და ჟურნალებს. ასე მისხალ-მისხალ აკრებილი ლექსიკით, გაგონილით და წაკითხულით ავკინძე ეს პიესა.
სპექტაკლი მთლიანად აგებულია XIX საუკუნის ქალაქურ ფოლკლორზე. მე თბილისის ყველაზე კოლორიტული ფიგურები ამოვარჩიე და იმ დროისათვის ჩემთვის უცნობ პარიზში გადავასახლე. ზოგი პერსონაჟი პირდაპირ ვირის ბაზრიდან აღმოჩნდა საფრანგეთში და საკუთარი ინტრიგები ჩაიტანა.
დიდი პატივისცემით მინდა გავიხსენო შესანიშნავი ქართველი მხატვარი თენგიზ მირზაშვილი და მთავარი როლების გამხმოვანებელი მსახიობები ეროსი მანჯგალაძე და რამაზ ჩხიკვაძე. მათ ხსოვნას ვუძღვნი ჩემს ნამუშევარს.”

## REZO GABRIADZE

# MARSHAL DE PANTIE’S DIAMOND



**Director:** Leo Gabriadze
**Scenic Designer:** Tengiz Mirzashvili, Rezo Gabriadze
**Costume Designer:** Rezo Gabriadze
**Composer /Musical Adaptation:** Leo Gabriadze

**Character voices:**
**Prince Vano -** Erosi Manjgaladze
**Khecho -** Ramaz Chkhikvadze
**Narrator -** Otar Bagaturia
**Plessi Pické -** Zaza Papuashvili
**Khanuma -** Nana Shonia
**Zippo -** Goga Pipinashvili
**Marquise -** Natuka Kakhidze
**Madam X -** Natia Kavsadze
**Porpile -** Gia Abesalashvili
**Vice President -** Lasha Ramishvili
**Postmaster -** Merab Sharikadze
**Alexander Gustav -** Vano Dugladze
**Tegée Brothers -** Nika Kvantaliani
**Tekla -** Nanuka Khuskivadze
**Clap-Kolya -** Aleko Begalishvili

**Animators:**
Niko Gelovani, Tamar Amirajibi, Badri Gvazava, Irakli Sharashidze, Medea Bliadze, Tamar Kobakhidze, Mariam Ikoshvili, Giorgi Giorgobiani, Mikheil Barnov, Beno Jijiashvili, Ketevan Kirtava

## About the Performance:

In XIX century Tiflis, the wedding of Keto and Kote on the banks of the Mtkvari River is unexpectedly disrupted by the arrival of the Postmaster. The head of the festive table, impoverished General Vano Pantiashvili, receives two telegrams from France. The first announces the death of Prince Pantiashvili's uncle Marshal de Pantie, while the second proclaims General Pantiashvili as the rightful heir to the world's largest diamond, Monte Rosa.
And so begins the journey of the Prince and his companions to Paris. Along the way, these colorful characters encounter numerous adventures and intrigues. What will be the destiny of the gallant General Phantiashvili and his comrades: the proletarian Khecho, the financier Zippo, the machinist Porpile, or the renowned matchmaker from Tiflis, Khanuma? What could possibly prompt a seasoned general, a veteran of the Napoleonic Wars, to reject possession of the biggest diamond in the world?
"Many years ago the Rustaveli Theatre had an amazingly cheerful performance Khanuma, which was extremely popular. Robert Sturua, its director, Gia Kancheli, the composer, and Erosi Manjgaladze and the leading actor suggested I write a sequel to the play, or something along the lines. I was quite young then, so I agreed.
"The problem was that, originally, I am from Kutaisi, the heart of Imereti, the western part of Georgia, so my vocabulary and intonation were different from that spoken in Tbilisi. Before embarking on the task, I looked through newspapers and magazines of the time when the play takes place. As a result, I picked up the language of the performance through reading and listening.
"The entire performance is based on the folklore of the 19th century Tiflis. I chose the most colourful characters for the play and even sent them to Paris which I hadn't been familiar with at the time. Some characters travelled to Paris directly from the Donkey Market, taking their intrigues with them.
"I would like to extend my gratitude to Tengiz Mirzashvili, a wonderful artist, as well as the outstanding actors who gave their voices to our marionettes: Erosi Manjgaladze and Ramaz Chkhikvadze. I dedicate the performance to their memory."

# გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

## თეატრის შესახებ:

XIX საუკუნის ქართული თეატრის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს გორში თეატრის ჩამოყალიბება წარმოადგენს. 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისს და 7 აგვისტოს, აქ, სცენისმოყვარეებს დაუდგამთ დიმიტრი მეღვინეთუხუცესის კომედია „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება სიყვარულისა". სწორედ გორიდან დაიწყო ქართული თეატრის აღდგენის და ქართული დრამატურგიის განვითარების პროცესი. ამ პროცესს სათავეში ედგა გიორგი ერისთავი, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად, თბილისში, 1850 წლის 14 იანვარს პირველად წარმოადგინა მისივე პიესა „გაყრა".

თანამედროვე კვლევების მიუხედავად, დღემდე, თეატრი ათონელზეს ოფიციალური დაარსების თარიღად 1845 წლის 26 ივლისი ითვლება, დღე როდესაც საჯაროდ უჩვენეს გ.ერისთავის კომედია „ძუნწი". მნიშვნელოვანია, რომ გორის სასცენო ხელოვნებაში თავიდანვე მრავალი ქალი მონაწილეობდა, მაშინ როდესაც სხვაგან და თბილისშიც ასეთ საქმიანობას ერიდებოდნენ. 1939 წლის დასასრულს, გორში თეატრისათვის აშენდა, ახალი, 500 ადგილიანი შენობა, რომელსაც შემდგომში ეწოდა გიორგი ერისთავის სახელი. დაარსებიდან დღემდე ერისთავის თეატრში არაერთი სახელგანთქმული მსახიობი და რეჟისორი მოღვაწეობდა. თეატრი დღემდე აქტიურად აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას.

XIX საუკუნის ქართული თეატრის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს გორში თეატრის ჩამოყალიბება წარმოადგენს. 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისს და 7 აგვისტოს, აქ, სცენისმოყვარეებს დაუდგამთ დიმიტრი მეღვინეთუხუცესის კომედია „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება სიყვარულისა". სწორედ გორიდან დაიწყო ქართული თეატრის აღდგენის და ქართული დრამატურგიის განვითარების პროცესი. ამ პროცესს სათავეში ედგა გიორგი ერისთავი, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად, თბილისში, 1850 წლის 14 იანვარს პირველად წარმოადგინა მისივე პიესა „გაყრა".

თანამედროვე კვლევების მიუხედავად, დღემდე, გორის თეატრის ოფიციალური დაარსების თარიღად 1845 წლის 26 ივლისი ითვლება, დღე როდესაც საჯაროდ უჩვენეს გ.ერისთავის კომედია „ძუნწი". მნიშვნელოვანია, რომ გორის სასცენო ხელოვნებაში თავიდანვე მრავალი ქალი მონაწილეობდა, მაშინ როდესაც სხვაგან და თბილისშიც ასეთ საქმიანობას ერიდებოდნენ. 1939 წლის დასასრულს, გორში თეატრისათვის აშენდა, ახალი, 500 ადგილიანი შენობა, რომელსაც შემდგომში ეწოდა გიორგი ერისთავის სახელი. დაარსებიდან დღემდე ერისთავის თეატრში არაერთი სახელგანთქმული მსახიობი და რეჟისორი მოღვაწეობდა. თეატრი დღემდე აქტიურად აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას.

საკონტაქტო პირი და თანამდებობა:

თამარ თოხაძე - დირექტორი
Tel: 599 299196
Email: eristavisteatri@gmail.com

**WWW.ERISTAVITHEATRE.GE**

2023

# GORI GIORGI ERISTAVI STATE PROFESSIONAL DRAMA THEATER



## ABOUT THE THEATER:

The establishment of the theater is one of the most important events of the 19th century in Georgian history.
On May 1st, 8th, July 11th and August 7th in 1845, the comedy lovers had staged the comedy Inexperience, or Temporarily Separated from Love by Dimitri Megvinetukhutsesi.
The process of restoring Georgian theater and the development of Georgian dramaturgy started from Gori. The process was headed by Giorgi Eristavi, who, together with his associates, premiered his play Divorce in Tbilisi on January 14th, 1850.
According to the recent research, the Gori Theater's official date of birth is July 26, 1865, with the premire of the comedy Stingy.
Noticeably, many women have participated in Gori's performanc art, while in other places as well as Tbilisi women avoided such kind of activities.
At the end of 1939, the new building with 500 seats was built and was later named after Giorgi Eristavi. Since its establishment, Erisavi's Theater has hosted a number of celebrity actors and directors. Till this day the theater is still actively pursuing creative artistic goals.

## Conact Person:

Tamar Tokhadze PR Manager
Tel: +995 599 299196
Email: eristavisteatri@gmail.com

WWW.ERISTAVITHEATRE.GE



ამირ დეჟაქამი

# დაუძახე - ბროწეული, პურის თავთავო!



**რეჟისორი:** ნიკოლოზ ჰაინე - შველიძე
**სცენოგრაფია:** ნიკოლოზ ჰაინე - შველიძე
**კოსტიუმების მხატვარი:** ნიკოლოზ ჰაინე - შველიძე
**კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება:** ნიკოლოზ ჰაინე - შველიძე
**რეჟისორის თანაშემწე:** სოფია დრულევი

**მონაწილეობენ:** კახი ბერიძე,  გიორგი გოგუაძე

### სპექტაკლის შესახებ:

ამირ დეჟაქამის პიესა, არის თანამედროვე სპარსული დრამატურგიის ერთერთი გამორჩეული ნიმუში.რომელიც დაწერილია სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი ესთეტიკით. პიესა გვიყვება მიჯნური მეძველმანის სასიყვარულო ამბავს. უსამართლოდ დასჯილი მეძველმანის სატრფო ჭორების და შურის მსხვერპლი ხდება. მიჯნური გადაწყვეტს დანტეს ვირგილიუსის მზგავსად, იმოგზაუროს მკვდართა სამყაროში რათა ყველა შესაძლებლობით დაიბრუნოს სატრფო. იგი დაუპირისპირდება შემქმნელს და დოქტორ ფაუსტუსის მზგავსად ხელს მოაწერს ეშმაკთან ხელშეკრულებაზე, თუმცა ვერაფრით ვერახერხებს სატრფოსთვის ხმის გაგონებას. ის რჩება სასოწარკვეთილი და მოტყუებული. პიესის მეორე ნაწილი ეძღვნება მონანიების, იმ რთულ გზას , რომლის გავლაც უწევს მარადიულ მოხეტიალე სულად დარჩენილ მეძველმანეს. იგი მორჩილებით და ლოცვით მიაგნებს გზას, რომლითაც მას ეძლევა მცირეოდენი იმედი იმისა , რომ მათი შეყვარებული სულები ერთმანეთს შეხვდებიან. მისი ცხოვრება დასასრულს უახლოვდება. სინანულს შეისმენს უმაღლესი და საჩუქრად გოგონას სიტყვებს გააგონებს. მარადიულობაში მათი სულები ერთიანდებიან.



AMIR DEZHAKAMI

# CALL IT - POMEGRANATE, WHEATEAR!



**Director:** Nikoloz Heine – Shvelidze
**Scenic Designer:** Nikoloz Heine – Shvelidze
**Costume Designer:** Nikoloz Heine – Shvelidze
**Musical Adaptation:** Nikoloz Heine – Shvelidze
**Assistant Director:** Sopio Drulevi

**Cast:** Kakhi Beridze; Giorgi Goguadze

**About the Performance:**

This performance is one of the most distinguished contemporary examples of Parish dramaturgy. It is written by Amir Dezhakami according to the aesthetics of Parish poetry. It tells the love story of a man who collects garbage for a living. His beloved was punished unfairly and suffered from envy and rumours, so he decides to travel to the underworld in order to bring his love back like Dante's Virgules. He opposes the creator and negotiates with the evil, yet fails to reach her. He is disappointed and deceived. The second part of the play is about how he finds his way by praying and confession, with the hope that they will eventually reunion. As his life comes to an end, the creator hears his confession and shows him mercy to hear the words of his beloved. At last, their souls are united for eternity.

# ალექსანდრე გრიბოედოვის სახ. თბილისის სახელმწიფო რუსული პროფესიული თეატრი

## თეატრის შესახებ:

გრიბოედოვის თეატრი თავის 177 - სეზონზე რეპერტუარის მრავალფეროვნებით გამოირჩევა, სპექტაკლები არის როგორც დიდებისთვის ასევე პატარა მაყურებლისთვის. სპექტაკლების უმრავლესობა რუსული კლასიკა და ასევე ქართველი ავტორები, როგოიცაარეზო გაბრიაძე, 2023 წელს თეატრმა სეზონი რეზო გაბრიაძის პიესით გახსნა. მთელი არსებობის მანძილზე გრიბოედოვის თეტრში თამაშობდნენ ქართული და რუსული სცენის გამოჩენილი მსახიობები. სხვადასხვა წლებში
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელები და დამდგმელი რეჟისორები იყვნენ ვსევოლოდ მეიერჰოლდი, გიორგი და სანდრო ტოვსტონოგოვები, პეტრე ფომენკო, რობერტ სტურუა და მრავალი სხვა. 1999 წლიდან გრიბოედოვის თეატრს სათავეში უდგას ავთანდილ ვარსიმაშვილი. დღეს თეატრისრეპერტუარშია ოცდაათამდე რუსული და საზღვარგარეთული თანამედროვე და კლასიკური ნაწარმოებები.
2012 წელს თეატრი გახდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საბჭოს ჯილდოს - "ტოლერანტობის ქომაგის" პრემიის ლაურეატი. 2013 წელს გრიბოედოვის თეატრი საერთაშორისო თეატრალურ ფორუმზე "ოქროს რაინდი" გრან-პრის მფლობელი გახდა სპექტაკლისთვის "ხოლსტომერტი. ცხენის ამბავი". ამავე წელს თეატრმა მოიპოვა რუსეთის ფარგლებს გარეთ საუკეთესო რუსული თეატრის წოდება და პრემია "თეატრალის ვარსკვლავის" ლაურეატი გახდა. გრიბოედოვის თეატრი აქტიურ საგასტროლო ცხოვრებას ეწევა და მრავალი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ლაურეატი თუ დიპლომანტია.
საკონტაქტო პირი:
ეკატერინე ფანჯიკიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

**საკონტაქტო პირი:**

ეკატერინე ფანჯიკიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
Tel: +995 599584001
Email: griboedovtheatre170@gmail.com

**WWW.GRIBOEDOVTHEATRE.GE**

# GRIBOEDOV THEATRE

GEORGIAN SHOWCASE 2023

## ABOUT THE THEATER:

Griboedov Theatre will celebrate its 177th anniversary in 2023 as the oldest theater in the Caucasus. In 1932, the theater became state-owned, after which the season was opened with M.Gorky's At the Bottom staged by Kote Marjanishvili. In 1934, the theater received the name of Alexander Griboedov. Georgian and Russian greatest stage actors played in this theater throughout the time. The Artistic Directors and Directors of Gribedov Theatre have been Vsevolod Meierhold, George and Sandro Tovstonogov, Pyotr Fomenko, Robert Sturua and many others. Since 1999, Tbilisi State Russian Drama Theatre has been led by Avtandil Varsimashvili. Today, the theater's repertoire includes about thirty classical and modern Russian and foreign plays. In 2012 the theater received the award "Advocates for Tolerance" from the Council of Minorities and Religions under the Public Defender's Office of Georgia. In 2013, Griboedov Russian Drama Theatre was awarded with International Theatre Forum "Golden Knight's Grand Prix" for Avtandil Varsimashvili's performance Kholstomer. In the same year, the theater was ranked as the best Russian theaters outside Russia and won the "Theater-Lover' Star" award. It tours actively and is the winner of many international theater forums.

**Conact Person:**

Tamar Tokhadze  PR Manager
Tel: +995 599 299196
Email: eristavisteatri@gmail.com

**WWW.GRIBOEDOVTHEATRE.GE**

# არ დაიდარდო

**პრემიერის თარიღი:**
17 მაისი 2023 წელი

**ხანგრძლივობა:**
ორი საათი და 10 წუთი ,
ანტრაქტით





**რეჟისორი:** ავთანდილ ვარსიმაშვილი
**სცენოგრაფია:** ავთანდილ ვარსიმაშვილი
**კოსტიუმების მხატვარი :** ჯეირან ფაჩუაშვილი
**კომპოზიტორი:** გია ყანჩელი
**რეჟისორის თანაშემწე:** ეკატერინე ფანჯიკიძე

**მონაწილეობენ:** აპოლონ კუბლაშვილი, ლაშა გურგენიძე, ოლეგ მჭედლიშვილი, სოფო ლომჯარია, ნინო კიკაჩეიშვილი, მიხეილ არჯევანიძე, ლუკა ჯიშკარიანი, ანა ნიკოლავა, დიმიტრი სპორიშევი, ნატალია ვორონიუკი, არჩილ ბარათაშვილი, გიგა კაკუბავა, ვლადიმერ ნოვოსარდოვი, ნინო კალატოზიშვილი, ირინა მეღვინეთუხუცესი, დავით ნიჟარაძე, ხატია ბერუაშვილი, ქრისტინა ბერუაშვილი, მარიამ კიტია.

### სპექტაკლის შესახებ:

სპექტაკლი ეძღვნება უდიდეს ქართველ მოღვაწეებს, ლეგენდარული ფილმის „არ დაიდარდო“-ს შემქმნელებს: გიორგი დანელიას, რეზო გაბრიაძეს და გია ყანჩელს. ლირიული ვარიაციები ფილმის მიხედვით. ეს არის ისტორია სიყვარულზე, ცხოვრებაზე , ადამიანურ ურთიერთობებზე, ბენჟამენ ღლონტზე, ახალგაზრდა ექიმზე, რომლისთვისაც ადამიანური ურთიერთობები გაცილებით მნიშვნელოვანია ვიდრე პირადი ინტერესები.

# DO NOT WORRY



**DATE OF THE PREMIERE:**
17 MAY 2023

**DURATION:**
130 MIN. WITH 1 INTERMISSION



**Director:** Avtandil Varsimashvili
**Costume Designer:** Jeiran Phachuashvili
**Composer:** Gia Khancheli
**Assistant Director:** Ekaterine Panjikidze

**Cast:** Apollon Kublashvili, Lasha Gurgenidze, Oleg Mchedlishvili, Sofo Lomjaria, Nino Kikacheishvili, Mikheil Arjevanidze, Luka Jishkariani, Anna Nikolava, Dimitri Sporishev, Natalia Voroniuk, Archil Baratashvili, Giga Kakubava, Vladimir Novosardov, Nino Kalatozishvili, Irina Meghvinethukhutses, Davit Nizhutses Aradze, Khatia Beruashvili , Kristina Beruashvili, Mariam Kitia.

**About the Performance:**

The performance is dedicated to the greatest Georgian figures--the creators of the legendary film Don't Worry: Giorgi Danelia, Rezo Gabriadze and Gia Kancheli. Lyrical variations are based on the film. With central ideas of love, life, relationships, it tells a story of Benjamin Ghlont, a young doctor who values inter-personal relationships over personal interests

# დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

## თეატრის შესახებ:

ზინაიდა კვერენჩხილაძეის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი დაარსდა 1990 წელს ჯუმბერ კოპალიანის ინიციატივით. იმავე წლის 19 იანვარს ზინაიდა კვერენჩხილაძის ხელმძღვანელობით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით ქალაქ დმანისში შედგა პირველი სპექტაკლის პრემიერა „ჩემო კალამო“. რეჟისორი: თემურ ჩხეიძე.
თეატრს წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები: ზინაიდა კვერენჩხილაძე, გოგი ხარაბაძე, აკაკი ხიდაშელი, დავით დვალიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ჩუგუაშვილი, კარლო საკანდელიძე, სოსო ხაინდრავა, გია ჯაფარიძე, ზურა ცინცქილაძე, ედიშერ მაღალაშვილი და გოგი გეგეჭკორი, რომელმაც 2003 წელს 80 წლის ასაკში უკანასკნელი როლი შეასრულა დმანისის თეატრის სცენაზე.
სხვადასხვა ეტაპზე თეატრს ხელმძღვანელობდნენ: ზინაიდა კვერენჩხილაძე, ჯუმბერ კოპალიანი, ნანა ბოკუცავა, მაისო სუბელიანი, კოტე მჟავია, ლაშა ჩხვიმიანი.
2022 წლის მარტიდან თეატრს ხელმძღვანელობს გიორგი სიხარულიძე პირველ მუდმივმოქმედ დასთან ერთად. ამ პერიოდის განმავლობაში დაიდგა არაერთი სპეტქკლი და ასევე რამდენიმე კოპროდუქცია სხვა თეატრებთან ერთად. თეატრის ახალი შემოქმედებითი ჯგუფი აქტიურად განაგრძობს მუშაობას.

**საკონტაქტო პირი:**

ეკა აბულაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
Tel: 599573470
Email: eka.abuladze93@gmail.com
dmanisitheatre1@gmail.com

# DMANISI ZINAIDA KVERENCHXILADZE PROFESSIONAL STATE DRAMA THEATRE

## ABOUT THE THEATER:

Dmanisi Professional State Drama Theatre was founded in 1990, named after Zinaida Kverenchkhiladze and initiated by Jumber Kopaliani. On January 19 of the same year, its first play My Pen (staged by the prominent Georgian director Temur Chkheidze) premiered in the city of Dmanisi, led by Zinaida Kverenchkhiladze with the blessing of The Catholicos-Patriarch of All Georgia. Prominent Georgian actors have selflessly contributed to the theater for years: Zinaida Kverenchkhiladze, Gogi Kharabadze, Akaki Khidasheli, Davit Dvalishvili, Otar Megvinetukhutsesi, Givi Chuguashvili, Karlo Sakandelidze, Soso Khaindrava, Gia Japaridze, Zura Tsintskiladze, Edisher Magalashvili and Gogi Gegechkori who performed his last role on the stage of Dmanisi Theatre at the age of 80 in 2003.

Throughout different periods, the theater was managed by Zinaida Kverenchkhiladze, Jumber Kopaliani, Nana Bokutsava, Maiso Subeliani, Kote Mjavia and Lasha Chkhvimiani.

Since March 2022, Giorgi Sikharulidze has been leading the theater as an artistic director together with the first permanent troupe. During this period a number of plays and several co-productions with other theaters were staged. Nowadays, the new creative company of the theater continues to work actively.

### Contact Person :

Eka Abuladze – PR Manager
Tel: +995 557719604
Email: eka.abuladze93@gmail.com,
dmanisitheatre1@gmail.com

# ფედერიკო გარსია ლორკა
# სისხლიანი ქორწილი

**პრემიერის თარიღი:**
2021 წლის 9 ივნისი

**ხანგრძლივობა:**
90 წუთი, ანტრაქტის გარეშე





**რეჟისორი:** გიორგი სიხარულიძე
**სცენოგრაფია და კოსტიუმების მხატვარი:** თეო კუხიანიძე
**ქორეოგრაფი:** კოტე ფურცელაძე
**კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება:** ანი მურღულია
**რეჟისორის თანაშემწე:** ვახტანგ ამანათიძე

**მონაწილეობენ:** ნანუკი მაკრახიძე, გიორგი გიორგიძე, დავით ჩოგოვაძე, ანა ბანძელაძე/ნუცა აბაშიძე, კონსტანტინე ფოცხვერაშვილი, ელისაბედ რუხაძე, ანანო ლომიძე, დავით ასპანიძე, გია საგინაშვილი, დონ ლუკა ხიმშიაშვილი, ვახტანგ ამანათიძე, სოფო სიხარულიძე.

**სპექტაკლის შესახებ:**

„ყოველივე რისი წიაღიდანაც გამოიცემა უკუნი ხმები შეიცავს duende-ს და არ არსებობს უფრო დიადი სიმართლე. ეს უკუნი ხმები არის იდუმალი ფესვები გადგმული ნოყიერ ნიადაგში, რომელიც ყოველი ჩვენთაგანისთვის ნაცნობია და მაინც უცნობი, საიდანაც ჩვენ ამოგავქვს ის რაც ჭეშმარიტია ხელოვნებაში.“ - ფედერიკო გარსია ლორკა
რეჟისორმა სპექტაკლი ლორკასეული მხურვალე დაუკმაყოფილებელი ვნებით გაჟღინთა. სპექტაკლს აქვს რიტუალის ფორმა და ყველა დეტალი მაყურებელში duende-ს აღძვრავს ემსახურება: ცოცხლად შესრულებეული ეპასნური სიმღერა, ცეკვა, ლორკასეული ესთეტიკის მხატვრობა, ახალგზარდა მსახიობების დაუოკებელი ენერგეტიკა და სიკვდილის დუელში გამოწვევის სურვილი.
„ესპანეთი არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სიკვდილი ბუნებრივ სანახაობას წარმოადგენს. ესპანეთის ხელოვნება ყოველთვის წარიმართება გამჭრიახი duende-ს  მიერ, რომელიც ამ ხელოვნებას სრულიად განსხვავებულ იერსა და გამომსახველობით თვისებებს სძენს.“ - ფედერიკო გარსია ლორკა
რეჟისორი ამბავს სასიძოს დედის პერსეპქტივიდან მოგვითხრობს. რაც ამ დადგმას პიესის სხვა ცნობილი დადგმებისგან გამოარჩევს.

FEDERICO GARCIA LORCA

# BLOOD WEDDING



**DATE OF THE PREMIERE:**
JUNE 9, 2021

**DURATION:**
90 MIN. WITHOUT INTERMISSION



**Director:** Giorgi Sikharulidze
**Scenic Designer:** Teo Kukhianidze
**Costume Designer:** Teo Kukhianidze
**Choreographer:** Kote Purtseladze
**Composer/Musical Adaptation:** Ani Murghulia
**Assistant Director:** Vakhtang Amanatidze

**Cast:** Ana Berelashvili / Nanuki Makrakhidze, Giorgi Giorgidze, Davit Chogovadze , Ana Bandzeladze / Nutsa Abashidze, Konstantine Potskhverashvili, Elisabed Rukhadze, Anano Lomidze, Davit Aspanidze, Gia Saginashvili, Luka Khimshiashvili, Vakhtang Amanatidze, Sopo Sikharulidze.

**About the Performance:**

“All that emanates eternal voices from the bosom contains duende and there is no greater truth. These eternal voices are mysterious roots planted in fertile soil, familiar and yet unknown for each of us. And from there we extract what is genuine in art.” – Federico Garcia Lorca
The director imbued the performance with Lorca’s fervent unsatisfied passion. The performance takes the form of ritual, and every detail serves to evoke the duende in audience: live Spanish songs and dances, set design of Lorca, aesthetics and insatiable energy of young actors who desire to challenge death in a duel.
“Spain is the only country where death is a national spectacle. Spanish art is always guided by the discerning duende, what gives this art a completely different look and expressive qualities.” – Federico Garcia Lorca
The director tells the story from the perspective of the fiancée’s mother, which makes this production more prominent than other well-known productions of the play.

# ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრი

## თეატრის შესახებ:

ზესტაფონის სახელმწიფო თეატრი 1939 წელს დაარსდა. თეატრალური დასი რკინიგზელთა კლუბში მუშაობდა.ზესტაფონის თეატრის ახლანდელი შენობა 1962 წელს გაიხსნა, სადაც ბინა სახალხო თეატრმა დაიდო. 1964 წელს ზესტაფონის სახალხო თეატრს უშანგი ჩხეიძის სახელი

მიენიჭა. ზესტაფონის სახელმწიფო თეატრი მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოირჩეოდა ყოველთვის და გამოირჩევა ახლაც. თეატრის რეპერტუარში ამჟამად შესულია სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლები,. წელიწადში ოთხჯერ ტარდება თეატრალური კვირეულები და ზესტაფონის თეატრს

სტუმრობენ საქართველოს სხვა ქალაქების თეატრალური დასები დაუჩვენებენ მაყურებელს თავიანთ სპექტაკლებს. ზესტაფონის თეატრის დასი ხშირად მართავს გასტროლებს, მონაწილეობს თეატრალურ

ფესტივალებში. ასევე თეატრში ტარდება სხვადასხვა ტიპის კულტურული ღონისძიებები: სასკოლო, საიუბილეო, საქველმოქმედო კონცერტები და ქორეოგრაფიული საღამოები.

საკონტაქტო პირი და თანამდებობა:

თეა მაღლაკელიძე, თეატრის დირექტორი
Tel: 599170401, 577627000
Email: Thea.theatre@gmail.com

# ZESTAFONI PROFESSIONAL STATE DRAMA THEATRE NAMED AFTER USHANGI CHKHEIDZE

GEORGIAN SHOWCASE 2023

## ABOUT THE THEATER:

Short information about the theatre:

Zestafoni State Theater was founded in 1939. The troupe worked in the railway club. Zestafoni Theater the current building was opened in 1962, where the People's Theater used to live laid down in 1964, the Zestafoni Public Theater was named after Ushangi Chkheidze. Zestafoni State Theater with a diverse repertoire it always stood out and it stands out even now. The repertoire of the theater currently includes various genres Performances that the audience likes a lot. Per year Theatrical weeks are held four times and the Zestafon Theater. Theater troupes from other cities of Georgia visit and they show their performances to the audience. Zestafoni Theater troupe often conducts tours, participates in festivals. Different types are also held in the theater Cultural events as school events, anniversary Evenings, charity concerts, choreography Festivals of ensembles.

### Conact Person:

Thea Maghlakelidze, Theatre Director
Tel: 599170401, 577627000
Email: Thea.theatre@gmail.com



ჟან ანუი

# ანტიგონე

**პრემიერის თარიღი:**
30.04.2023

**ხანგრძლივობა:**
1საათი 40 წუთი



**რეჟისორი:** ვახტანგ ჯუღელი
**კოსტიუმების მხატვარი:** ხატია დავითაშვილი
**ქორეოგრაფი:** შოთა გეგიაძე
**კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება:** ალექსანდრე ნიკოლაძე
**რეჟისორის თანაშემწე:** მარი აბესაძე

**მონაწილეობენ:** ნანუკი მაკრახიძე, გიორგი გლოველი, ნანცო ცხვირაშვილი, გიორგი ჩაჩუა, კონსტანტინე ფოცხვერაშვილი, თემურ კიკნაველიძე, ზურაბ აბესაძე, თემურ ქველიაშვილი, მარეხ აბესაძე, ნინო აბესაძე, ნანუკა ისიანი, ბადრი ტაბატაძე

**ბენდი:** კლავიში - ლუკა პაჭკორია, დასარტყავი ინსტრუმენტი - სანდრო ფოცხიშვილი, ბას გიტარა - სანდრო მოსაშვილი

**სპექტაკლის შესახებ:**

ანტიგონე ზოგისთვის პატარა მეამბოხე გმირია, რომლისთვისაც სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ ბრძოლა ცხოვრების მთავარი არსია. ზოგისთვის იგი სრულყოფილი ქალია, რომელიც უარს ამბობს სიყვარულზე, ოჯახის შექმნაზე, შვილებზეც კი, რათა დაკანონებული ტრადიცია დაიცვას და მიცვალებული მიწას მიაბაროს განურჩევლად იმისა, მოღალატე იყო იგი თუ სამშობლოს დამცველი. ზოგისთვის ჭირვეული გოგონა, რომელსაც მიზნად დაისახავს წინააღმდეგობა გაუწიოს საკუთარ უფროს დას სახლიდან გასვლას რომ უკრძალავს, შეებრძოლოს ბიძას, მის მიერ გამოცემული „უაზრო“ კანონის გამო, რომელმაც თვითნებურად ჩაიგდო ტახტი ხელში, შეურაცხყო მამამისი ოიდიპოსი და კოლონოში გააძევა.



# JEAN ANOUILH
# ANTIGONE

**DATE OF THE PREMIERE:**
30.04.2023

**DURATION:**
1H 40MIN



**Director:** Vakhtang Jugheli
**Costume Designer:** Khatia Davitashvili
**Choreographer:** Shota Gegiadze
**Composer / musical adaptation:** Aleqsandre Nikoladze
**Assistant to the director:** Mari Abesadze

**Cast:** Nanuki Makrakhidze, Giorgi Gloveli, Nanco Ckhvirashvili, Giorgi Chachua Konstantine Fotskhverashvili, Temur Kiknavelize, Zurab abesadze, Temur Qvelishvili Marekh Abesadze, Nino Abesadze, Nanuka Isiani, Badri Tabatadze

**Band:** Synthesizer – Luka Pachkoria, Drum – Sandro Potskhishvili, Bass Guitar – Sandro Mosashvili

**About the Performance:**

The Rising action begins as Antigone is seen with her sister, Ismene and her fiancé, Haemon. The conflict is established almost atonce as we learn that Antigone is determined to bury the corpse of her brother Polinices despite the decree by Creon. Forbidding such burial under pain of death. When Antigone is apprehended by three Guards as she makes a second attempt to bury her brothers body, Creon dismisses the guards and he and Antigone engage in a lengthy and heated debate, each advancing  arguments and rebutting or ignoring those of the other. The climax of the play occurs when Antigone refuses to accept Creon's arguments and decides to die rather than leave her brother unburied.

# ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

## თეატრის შესახებ:

ზუგდიდში თეატრის შექმნის დასაწყისად 1868 წელია მიჩნეული. მას შემდეგ ზუგდიდში თეატრალური ცხოვრება არ შეწყვეტილა. თეატრს არსებობის მანძილზე არაერთი ჯილდო თუ პრემია აქვს მიღებული. თეატრის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ანტონ ფურცელაძეს, რომელიც თარგმნიდა პიესებს და დგამდა წარმოდგენებს. 2023 წელს თეატრს საიუბილეო თარიღი 155 წელი შეუსრულდა. ზუგდიდის თეატრის ბოლო წლების ცხოვრება თავისი სარეპერტუარო პოლიტიკით აქტუალურ სოციალურ თემატიკაზეა ორიენტირებული. თეატრს სურს ხელი შეუწყოს, არა მხოლოდ აქტუალურ თემებზე საუბრის პოპულარიზაციას, არამედ ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში ახალი საინტერესო ხერხებისა და ფორმების, ინოვაციური, ციფრული საკომუნიკაციო საშუალებების, აუდიო/ვიდეო კონტენტის დანერგვას, ეფექტურ ფუნქციონირებას, შესაძლებლობების ფარგლებში.
რეპერტუარი, ჟანრობრივი მრავალფეროვნებით ყველა ასაკობრივ ზღვარს მოიცავს, მათ შორის 0 წლიდან ბავშვებისთვის. ანა ფრანკი, თევზი ხეზე, ღამე მშვიდობისა დედა, მარიტა, შაშვი შაშვი მაყვალი, ნორვეგია დღეს-ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც ზუგდიდის თეატრში დაიდგა. ჩვენი მიზანია მეტ ახალგაზრდა ხელოვანს (რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი) მივცეთ საშუალება განახორციელონ პროექტები, ასევე ახალგაზრდა კრიტიკოსებს, უშუალოდ გაიცნონ თეატრი და სამუშაო პროცესი. 2024 წელს თეატრი ახალ შენობაში გადავა, რომელიც სრულად იქნება აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით. შესაბამისად ზუგდიდის თეატრს სამომავლოდ აქვს დიდი პოტენციალი, გაცილებით განავრცოს მისი შესაძლებლობები, როგორც თეატრალური წარმოდგენებით ასევე სხვადასხვა სახელოვნებო დარგებისთვის ღიაობით.

### საკონტაქტო პირი:

ლაშა შეროზია - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
Tel: +995 598 69 70 77
Email: lashasherozia@gmail.com

# ZUGDIDI SHALVA DADIANIS PROFESSIONAL DRAMATIC THEATRE

## ABOUT THE THEATER:

The year 1868 is considered the beginning of the creation of the theater in Zugdidi. After this, theatrical life in Zugdidi has not stopped. During its existence, the theater has received many awards and prizes. Anton Furtseladze, who translated plays and staged performances, made a great contribution to the development of the theater.  In 2023, the theater celebrated its 155th anniversary.

The life of the Zugdidi Theater in recent years has been focused on topical social issues with its repertory policy. The theater wants to promote not only the popularization of conversation on current topics, but also the introduction of new interesting ways and forms, innovative, digital means of communication, audio/video content in Georgian theatrical life, effective functioning within the limits of possibilities.

The repertoire covers all age ranges, including for children from 0 years old. “Anne Frank”, “Fish in the Tree”, “Good Night Mother”, “Marita”, “Thrush, Thrush, Blackberry”, “Norway Today” - this is a small list that was staged in Zugdidi Theater. Our goal is to give more young artists (directors, artists, composers) the opportunity to implement projects, as well as young critics to get to know the theater and the work process. In 2024, the theater will move to a new building, which will be fully equipped with modern equipment. Accordingly, the Zugdidi Theater has a great potential in the future to expand its possibilities, both with theatrical performances and openness to various artistic fields.

### Conact Person:

Lasha Sherozia, Artistic director of the theatre
Tel: +995 598 69 70 77
Email: lashasherozia@gmail.com


მარშა ნორმანი
ღამე მშვიდობისა, დედა
პრემიერის თარიღი:
11 აპრილი
ხანგრძლივობა:
130 წუთი, შესვენების გარეშე
HITACHI



**რეჟისორი:** ლაშა შეროზია
**სცენოგრაფია:** თამარ ჭავჭანიძე
**კოსტიუმების მხატვარი :** თამარ ჭავჭანიძე
**რეჟისორის თანაშემწე:** თამუნა ფარულავა

**მონაწილეობენ:** ნანა ბუკია; მარინა ბურდული

### სპექტაკლის შესახებ:

ორი ქალის თითქოს ჩვეულებრივი, რუტინული საღამო უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ დრამად გადაიქცევა. საღამო, სადაც დედა და შვილი აღმოაჩენენ, თუ რამდენი საერთო შეიძლება ჰქონოდათ ერთმანეთთან. ყურადღება, რომელიც ერთმანეთს დააკლეს. სიყვარული, რომელიც გამორჩათ. ტრავმები, რომლებსაც გულის სიღრმეში მალავდნენ. ზრუნვა, რომელიც ვალდებულებად გადაიქცა. ცხოვრება, რომელიც დედა-შვილის რუტინად იქცა და ერთმანეთი დააკარგვინა. სპექტაკლი ეძღვნება, იმ ურთიერთობებისგან მიღებულ ემოციებს, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან თანაცხოვრებისას „გამოგვრჩა“. იმას, რაც აღარასოდეს განმეორდება და სამუდამოდ სინანულის სამყაროში გამოიკეტება.
ძალზე მნიშვნელოვანია მსახიობებს შორის შედგეს პარტნიორობა, მითუმეტეს, როცა მთელი სპექტაკლი ორ არტისტზეა დამოკიდებული. შემოქმედებითმა ჯგუფმა სასურველ მიზანს მიაღწია, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ჯესის ბავშვობის მოგონებების გახსენებისას. მსახიობების ხმასა და მიხვრა-მოხვრაში იგრძნობა სინანული, სევდა, სიყვარული და, რაც მთავარია - ორივე გმირი მშვენივრად ხვდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათ შორის გულწრფელი დიალოგი შედგეს.

MARSHA NORMAN

# GOOD NIGHT MOTHER



**DATE OF THE PREMIERE:**
APRIL 11

**DURATION:**
130 MINUTE, WITHOUT A BREAK



**Director:** Lasha Sherozia
**Scenography:** Tamar Tchavtchanidze
**Costumes Designer:** Tamar Tchavtchanidze
**Assistant to the director:** Tamuna Pharulava

**Cast:** Nana Bukia; Marina Burduli

## Short annotation about performance:

A seemingly ordinary, routine evening of two women turns into an important life drama. An evening where mother and daughter discover how much they may have had in common. The attention they lacked from each other. The Love which they skipped. Traumas that were hidden deep in the heart. Care that has become an obligation. A life that became a routine of mother and daughter and lost each other.
The performance is dedicated to the emotions received from those relationships, which we "missed" while living with important people. Something that will never happen again and will forever be locked in the world of regret.

# თავისუფალი თეატრი

## თეატრის შესახებ:

თავისუფალი თეატრი დაარსდა 2001 წლის 31 მარტს. „თავისუფალი თეატრი“ მდებარეობს მეტრო „თავისუფლების მოედნის“ უკან, სახელმწიფო კანცელარიისაკენ მიმავალ კიბეებთან. შენობას აქვს გემის, როგორც თავისუფლების სიმბოლოს ფორმა. (არქიტექტორი პაატა ჭავჭანიძე) თეატრი კერძოა და ეკუთვნის ავთო ვარსიმაშვილს. თეატრი მუშაობს ანტრეპრიზის პრინციპით და მუდმივად ასაქმებს 50მდე მსახიობს. საზოგადოება უკვე იცნობს „თავისუფალი თეატრის“ სახეებს: ნიკო გომელაურს, სლავა ნათენაძეს, აპოლონ კუბლაშვილს, კახა მიქიაშვილს, ბუბა გოგორიშვილს, კახა მიქიაშვილს, თიკო კორძაძეს, ჯაბა კილაძეს, მაია დობორჯგინიძეს, მამუკა მუმლაძეს, ქეთა ლორთქიფანიძეს, მიხეილ არჯევანიძეს, სანდრო მარგალიტაშვილს, თამუნა ნიკოლაძეს და სხვ.
ამ თეატრის სცენაზე სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობენ ქართული თეატრის ისეთი ცნობილი მსახიობები როგორიცაა: გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, თათული დოლიძე, მარინე ჯანაშია, ირინა მეღვინეთუხუცესი, რამაზ იოსელიანი, დიმა ჯაიანი, ევა ხუტუნაშვილი, ვანო იანტბელიძე და სხვ. ამ თეატრის სცენაზე გადის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო რეჟისორების მიერ დადგმული სპექტაკლები, ავთო ვარსიმაშვილის გარდა „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლების რეჟისორები არიან: დათო დოიაშვილი, გოჩა კაპანაძე, ანდრო ენუქიძე, გიორგი შალუტაშვილი, გოგი მარგველაშვილი, რობერტ სტურუა.
„თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლებს დღიდან დაარსების ყოველთვის ჰყავს მაყურებელი, ის ორშაბათის გარდა ყოველდღე თამაშობს სპექტაკლებს. „თავისუფალი თეატრი“ საქართველოს ერთ ერთი ყველაზე მაღალ რეიტინგული თეატრია, ის ალბათ ერთადერთი თეატრია სადაც სპექტაკლებამდე ორი სამი კვირით ადრე იყიდება ბილეთები. „თავისუფალმა თეატრმა“ სპექტაკლები უჩვენა საქართველოს ყველა კუთხეში,ის იყო პირველი თეატრი, რომელმაც მოახერხა და უჩვენა სპექტაკლები მაყურებელს, კონფლიქტის ზონაში - ცხინვალის რეგიონში.
მრავალფეროვანია და შთამბეჭდავია „თავისუფალი თეატრის“ საგასტროლო - საფესტივალო რუკა ის არა ერთხელ იყო ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, ეგვიპტე, თურქეთი, რუმინეთი. ეს ის ქვეყნებია სადაც „თავისუფალმა თეატრმა“ წარმოადგინა თავისი სპექტაკლები და მიიღო იქ ყველაზე მაღალი შეფასებები.
მიუხედავად რეჟისორული მრავალფეროვნებისა, „თავისუფალმა თეატრმა“ მოახერხა და პირველივე სპექტაკლებიდანვე ჩამოყალიბდა როგორც სოციალურ - პოლიტიკური თეატრი. სწორედ ამიტომაც „თავისუფალი თეატრი“ არის „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს“.

**საკონტაქტო პირი:**

თორნიკე ღლონტი
Tel: 591939956
Email: Tornike77@gmail.com

# LIBERTY THEATRE



## ABOUT THE THEATER:

“Liberty Theatre is a property of famous Georgian director Avtandil Varsimashvili. The second theatre after “Theatral Basement” that Mr. Varsimashvili opened in Tbilisi. The architectural form of the theatre is the ship, the representation of liberty. “Liberty Theatre” is one of the top Georgian theatres. It is the only Georgian theatre where the tickets are sold two-three weeks before the play.

Theatre has 20 professional actors of different age. Theatre’s program includes 15 plays, which are delivered every day, except Monday.

On the basis of “Liberty Theatre” was created “Vars-Studia”, which makes feature films. The studio produced 2 feature films, which had fantastic success in Georgia’s movie theatres.

“Liberty Theatre’s” actors have an active collaboration with television, so they are one of the most popular faces in Georgia. “Liberty Theatre” tours a lot and participates in different theatric festivals. Russia, Ukraine, Germany, Latvia, Romania, Poland, Egypt, Turkey, Greece are among the countries which applauded “Liberty Theatre’s” plays.

**Contact Person :**

Tornike Glonti
Tel: 591939956
Email: Tornike77@gmail.com



## შალვა დადიანი
# გუშინდელნი დღეს

**პრემიერის თარიღი:**
09.05.2023 წ.

**ხანგრძლივობა:**
150 წუთი, ერთი შესვენება



**რეჟისორი:** თინათინ კორძაძე
**სცენოგრაფია:** თეო კუხიანიძე
**კოსტიუმების მხატვარი:** თეო კუხიანიძე
**მუსიკალური გაფორმება:** გიორგი ჯიქია
**ლოტბარი:** მაია მიქაბერიძე
**რეჟისორის თანაშემწე:** რუსიკო შოშიტაშვილი

**მონაწილეობენ:** ჯაბა კილაძე, თამუნა ნიკოლაძე, კახა მიქიაშვილი, გუგა ქაცარავა , ნინი კვირიკაშვილი, გიორგი ოქრუაშვილი, ნუცა სულაბერიძე, სალომე ჭულუხაძე, ნოდარ ძოწენიძე, სოფი ლომჯარია, მიშა არჯევანიძე, ოთო ლასხიშვილი

**სპექტაკლის შესახებ:**

პიესა ასახავს უცხოტომელის მიერ ქართველ ერთან ურთიერთობის ერთ ეპიზოდს, სადაც მკაფიოდ ვლინდება მათი ცინიკური დამოკიდებულება და საეჭვო მიზანსწრაფვები დაპყრობილი ერის ინტელიგენციისადმი, ერის გადაგვარების, სულიერი პროსტრაციის ნიშნები, ახალგაზრდების დეპრესიული მდგომარეობა, ზნეობრივი დეგრადაცია და სხვა. მიგვაჩნია რომ დღეს კვლავ იკვეთება მცირე ერების დისკრიმინაციის გამოკვეთილი ნიშნები, ჩვენს წინაშეა ახალი თაობის სწრაფვა მორიგი არჩევანის, ძლიერი მეზობელი თუ არამეზობელი ერებისადმი დაქვემდებარების ტენდენცია. კვლავ ჩნდება ე.წ. მფარველი, წინამძღოლი გმირისა თუ ე.წ. ძლიერი ხელის მოძიების ვნება, რაც ხშირ შემთხვევაში ცრუ გმირების დაბადების აქტით მთავრდება ხოლმე. ამიტომაც ვფიქრობთ რომ უდავოდ დროულია ამ პიესის კიდევ ერთხელ დადგმა ქართულ სცენაზე და მისი ტრაგიკომიკური შედეგების გააზრების მცდელობა.

## SHALVA DADIANI

# YESTERDAY'S TODAY



**DATE OF THE PREMIERE:**
09.05.2023

**DURATION:**
150 MINUTES, ONE BREAK



**Director:** Tinatin Kordzadze
**Scenography:** Teo Kukhianidze
**Costume Designer:** Teo Kukhianidze

**Music director:** Giorgi Jikia
**Lotbar:** Maia Mikaberidze
**Assistant to the director:** Rusiko Shoshitashvili

**Cast:** Jaba Kiladze, Tamuna Nikoladze, Kakha Mikiashvili, Guga Katsarava, Nini Kvirikashvili, Giorgi Okruashvili, Nutsa Sulaberidze, Salome Chulukhadze, Nodar Dzotsenidze, Sophi Lomjaria, Misha Arjevanidze, Oto Laskhishvili

**Short annotation about performance:**

The play depicts one episode of the relationship between the foreigners and the Georgian nation, where their cynical attitude and dubious ambitions towards the intellectuals of the conquered nation, signs of the nation's degeneration, spiritual prostration, depressed state of young people, moral degradation and others are clearly revealed. We believe that today there are still distinct signs of discrimination against small nations; we are faced with the aspiration of a new generation to make another choice, the tendency to submit to powerful neighboring or non-neighboring nations. Passion to find the so-called Protector Leader hero or to the so-called strong hand, is still revealed which in many cases ends with the birth of false heroes. That is why we think that it is undoubtedly timely to stage this play once again on the Georgian stage and to try to understand its tragicomic consequences.

# თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

## თეატრის შესახებ:

თელავის თეატრი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. იგი მეფე ერეკლე II -ის კარზე  არსებობდა და ცნობილი იყო როგორც მაჩაბელას დასი. 1795წელს თეატრის მთელი დასი გაბრიელ მაიორისა და მაჩაბელას ხელმძღვანელობით გმირულად დაეცა კრწანისის ბრძოლაში. დღეს თელავის თეატრი არსებობის 260 წელს ითვლის. თელავის თეატრი არსებობის მანძილზე მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში და მრავალი ჯილდო და პრემია აქვს მიღებული. დღეს თეატრს ჰყავს ნიჭიერი დასი, რომელიც ღირსეულად აგრძელებს თეატრის ტრადიციებს.

**საკონტაქტო პირი:**

ლია გიგოშვილი, ადმინისტრატორი
Tel: 555582323
Email: Lia-lio @mail.ru

# TELAVI VAZHA - PSHAVELA STATE PROFESSIONAL DRAMA THEATRE

## ABOUT THE THEATER:

Telavi Drama Theatre is one of the oldest one in Georgia. Performances have been made in this theatre since King Erekle II. In 1986, Telavi Drama Theatre celebrated its 260 years anniversary in triumph. Telavi Drama Theatre has always been participating in different international festivals and got lots of rewards and prizes. Today Telavi Drama Theatre has very talented artistic team, who still continues old traditions.

**Conact Person:**

Lia Gigoshvili, Administrator
Tel: 555582323
Email: Lia-lio @mail.ru

# სარა კეინი
# ფსიქოზი 4.48

**პრემიერის თარიღი:**
განახლებული დადგმა 2023 აგვისტო

**ხანგრძლივობა:**
1სთ, შესვენების გარეშე





**რეჟისორი:** კიტა როყვა
**სცენოგრაფია:** შოთა ბაგალიშვილი
**კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება:** კიტა როყვა
**რეჟისორის თანაშემწე:** მაყვალა ძამუკაშვილი

**მონაწილეობენ:** თემურ ხუნაშვილი

**სპექტაკლის შესახებ:**

“გახსოვდეს სინათლე და ენდე სინათლეს. ჭეშმარიტება სიკვდილის წინ გამოგინათებს.” მთავარი გმირის დეპრესიის მიზეზი გაორებაა. უიმედოდ სასოწარკვეთილია. ესაუბრება საკუთარ თავს, რომელიც ვერ “შეიცნო”. უყვარს მკურნალი ექიმი, მაგრამ ეს გრძნობაც მისი ფანტაზიის ნაყოფია. საყვედურობს ღმერთს, რომელმაც, მისი აზრით, ზურგი აქცია, ისევე, როგორც ყველა სხვამ. გამოგონილი “სიყვარულით” ცდილობს ცხოვრებას აზრი შესძინოს და თავიდან აიცილოს თვითმკვლელობა. ეშინია, რადგან შესაძლოა, სიკვდილის შემდეგაც არ დასრულდეს მისი ტანჯვა.

# SARAH KANE
# PSYCHOSIS 4.48

**DATE OF THE PREMIERE:**
RENEWED PLAY, AUGUST 2023

**DURATION:**
1 HOUR, WITHOUT A BREAK





**Director:** Kita Rokva
**Scenography:** Shota Bagalishvili
**Composer / musical adaptation:** Kita Rokva
**Assistant to the director:** Makvala Dzamukashvili

**Cast:** Temur Khunashvili

### About the Performance:

"Remember the light and trust it. The truth will come to light before death". The main reason of the depression that the main hero has is duality. He is desperately hopeless. He is talking to himself that he never managed to cognize. He loves his own doctor, but that sense of feeling is his own fantasy either. He is reprimanding to the God because the thinks that everyone including God gave him the back. With unreal "love" he tries to make sense to his life and avoid suicide. He is scared because of his feeling that his suffering might never end, even after death.

# საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებაში შემავალი ქუთაისის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

## თეატრის შესახებ:

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი დაარსებიდან 75 წელს ითვლის. თეატრმა მაყურებელს პირველი წარმოდგენა 1946 წლის 31 დეკემბერს წარუდგინა. დაარსებიდან დღემდე თეატრი აქტიურად ფუნქციონირებს და მნიშვნელოვან კულტურულ–საგანმანათლებლო კერას წარმოადგენს იმერეთის რეგიონში. 74 წლის მანძილზე განხორციელდა 300 მეტი წარმოდგენა. წლების განმავლობაში თეატრში მოღვაწეობდნენ სხვადასხვა თაობის ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები და კომპოზიტორები. ჟანრობრივად მრავალფეროვანი რეპერტუარი ყოველთვის იმსახურებდა მაყურებლისა და პროფესიონალი კრიტიკოსების ყურადღებას. 2022 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრი შეუერთდა საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებას.

### საკონტაქტო პირი:

ნერონ აბულაძე, პროექტების მენეჯერი
Tel: 202492668
E-mail: tojinebikutaisi@gmail.com

# KUTAISI IAKOB GOGEBASHVILI PROFESSIONAL STATE PUPPET THEATER OF PROFESSIONAL STATE THEATERS OF GEORGIAN PUPPETS UNION

## ABOUT THE THEATER:

Kutaisi Iakob Gogebashvili Professional State Puppet Theater dates 75 years from its foundation. It presented its first performance to the audience on December 31, 1946. Since its establishment, the theater has been actively functioning as an important cultural-educational center representing the Imereti region. More than three hundred performances have been conducted on a span of seventy-five years. Over these years, different generations of famous directors, actors, artists, and composers have worked in the theater and the diversity of its repertoire and genre has always seized the attention of the audience and professional critics. In 2022 Kutaisi Puppet Theatre joined the Union of Professional State Theater of Georgian Puppets.


**Contact Person :**

Neron Abuladze, project manager
Tel: 202492668
Email: tojinebikutaisi@gmail.com



ერლომ ახვლედიანი

# ვანო და ნიკო

**პრემიერის თარიღი:**
03.05.2023

**ხანგრძლივობა:**
60 წუთი, შესვენების გარეშე



**რეჟისორი:** მარიამ სიხარულიძე
**სცენოგრაფია:** ვახტანგ ქორიძე
**კოსტიუმების მხატვარი:** ვახტანგ ქორიძე
**კომპოზიტორი / მუსიკალური გაფორმება:** ნინო სიხარულიძე

**მონაწილეობენ:** აბელ სოსელია, ბაქარ დეისაძე, თინათინ ნემსაძე, ჯანეტ ქობულაძე, გიორგი ქართველიშვილი, ზაზა იოსებაშვილი

**სპექტაკლის შესახებ:**

რეჟისორმა მარიამ სიხარულიძემ, ერლომ ახვლედიანის იგავური სტილის სიუჟეტი - "ვანო და ნიკო", სპექტაკლად აქცია.
ეს არის ამბავი, რომელიც ერთ  პიროვნებას გადახდა და ორად იქცა!
შემოქმედებითი ჯგუფი, თანამედროვე შესაძლებლობებით, წარმოგვიდგენს ადამიანის ისტორიას, რომელიც უძილობამ, პიროვნების გაორებამ და საზოგადოებისგან გაქცევამ მის სივრცეში ჩაკეტა - კლავს მის მეს და ვანო ხდება ნიკო.
იწყება სიზმრები და ამ ქვეყანაში ხდება მისივე ზმანებების  რეჟისორი. სხვა რაკურსით დაინახავს საკუთარ თავს  და ცდილობს გაიმარჯვოს მასზე.



ERLOM AKHVLEDIANI

# VANO AND NIKO

**DATE OF THE PREMIERE:**
03.05.2023

**DURATION:**
60 MINUTES, WITHOUT A BREAK



**Director:** Mariam Sikharulidze
**Scenography:** Vakhtang Khoridze
**Costume Designer:** Vakhtang Khoridze
**Composer / musical adaptation :** Vakhtang Khoridze

**Cast:** Abel Soselia, Bakar Deisadze, Tinatin Nemsadze, Janet kobuladze, Giorgi Kartvelishvili, Zaza Iosebashvili

**Short annotation about performance:**

Director Mariam Sikharulidze turned Erlo Akhvlediani's fairy-tale style story - "Vano and Niko" into a play. This is a story that happened to one person and became two! The creative team, with modern capabilities, presents the story of a man who is locked in his space by insomnia, split personality and escape from society - kills his true self and Vano becomes Niko. Dreams begin and this country becomes the director of its own dreams. He will see himself from a different perspective and tries to win over him.

# მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

## თეატრის შესახებ:

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი „ჩვენ მოვედით, რომ ყველაფერი შეგვეცვალა თეატრში“ - მიხეილ თუმანიშვილი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე 1975 წელს შეიქმნა და 1978 წელს ოფიციალურად გაიხსნა თეატრალური სახელოსნო - კინომსახიობთა თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი უბრწყინვალესი რეფორმატორი, რეჟისორი და უნიკალური პედაგოგი, მიხეილ თუმანიშვილი იყო, ხოლო ძირითადი ბირთვს კი „თუმანიშვილის სკოლის“ მოწაფეები, ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები - რეჟისორები და მსახიობები წარმოადგენდნენ. რეპერტუარი მუდამ ივსებოდა არაჩვეულებრივი სპექტაკლებით, იყო მრავალი გასტროლი, საერთაშორისო ფესტივალი და დიდი წარმატება. რაც მთავარია, ეს მცირე ფორმის სტუდიური თეატრი მუდამ უყვარდა, სჭირდებოდა და ეამაყებოდა ქართველ მაყურებელს. 1996 წელს მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა და კინომსახიობთა თეატრს მისი სახელი ეწოდა. დღეს „თუმანიშვილში“ მისი მოწაფეები მოღვაწეობენ. რეპერტუარში უწყვეტადაა გამორჩეული ხანდაზმული სპექტაკლი „ბაკულას ღორები“. თეატრი ცდილობს შეინარჩუნოს თუმანიშვილის დანატოვარი „ჩვენი პატარა ქალაქი“. მათში თანდათან შედიან ახალგაზრდები, რათა ეზიარონ ძველ გამოცდილებას და იგრძნონ ატმოსფერო. თეატრის დღევანდელი აფიშა მრავალფეროვანი და საინტერესოა. აქ სიამოვნებით მოდიან უცხოელი რეჟისორები, მუშაობენ განსხვავებული მეთოდიკით და ქმნიან ახალ სპექტაკლებს. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი სარეპერტუარო თეატრია. თეატრს სახელმწიფო აფინანსებს, შედგება მუდმივი დასისა და მოწვეული მსახიობებისაგან. თეატრის ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელია - იოანე (ვანო) ხუციშვილი, თეატრის დირექტორი კი - ლევან (ჯაბა) მჭედელაძე.

### საკონტაქტო პირი:

იოანე (ვანო) ხუციშვილი - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
Tel: 577 947051; 322 35 01 94
Email: info@tumanishvilitheatre.ge
ლევან (ჯაბა) მჭედელაძე - თეატრის დირექტორი
Tel: 555 960507

GEORGIAN SHOWCASE

# LEPL – MIKHAIL TUMANISHVILI STATE PROFESSIONAL FILM ACTORS THEATRE

## ABOUT THE THEATER:

In 1975 School of Theatrical Arts and Film Actors Theatre was established and began operating on the platform of Film Studio "Kartuli Pilmis" ("Georgian Films"). In 1978 it was officially opened by Mikhail Tumanishvili with his students. Tumanishvili was a driving force in reforming of Georgian theatre in the 20th century. He was a director of drama and opera, Creator of Georgian Television Theatre, Professor at the University of Arts, theorist and educator.
From inception, the School of Theatrical Arts and Film Actors Theatre took a prominent position in the Georgian and international industry of arts. Over a period of years the theatrical school participated in festivals of art in Europe, USA, Latin America and Australia where they numerous awards.
The creative group in this theatre, both directors and actors, has been educated by Tumanishvili himself or through his methods. The creative group continues to seek out new methods and forms to use within the theatrical industry, and offer many interesting plays to spectators. In recent times the theatre internationally co-produced several spectacles which were presented with unique methods and aesthetics.
Tumanishvili's Film Actors Theatre is a government funded entity. It consists of regular cast and guest actors. The current artistic director of the theater is Ioane (Vano) Khutsishvili, and the director of the theater is Levan (Jaba) Mchedeladze.

### Conact Person:

Ioane (Vano) Khutsishvili, Artistic director of the theatre
Tel: 577 947051; 322 35 01 94
Email: info@tumanishvilitheatre.ge
Levan (Jaba) Mtchedeladze, Theatre director
Tel: 555 960507

ალექს ჩიღვინაძე

# უხერხემლო

**პრემიერის თარიღი:**
1/2 ივლისი

**ხანგრძლივობა:**
90 წუთი, შესვენების გარეშე





**რეჟისორი:** იოანე (ვანო) ხუციშვილი
**სცენოგრაფია:** გიორგი გორგიაშვილი
**კოსტიუმების მხატვარი:** გიორგი გორგიაშვილი
**კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება:** გიორგი გორგიაშვილი
**რეჟისორის თანაშემწე:** სოფო ორჯონიკიძე

**მონაწილეობენ:** ნინელი ჭანკვეტაძე, გოგა პიპინაშვილი,
ნინა ლორთქიფანიძე, ლუკა ჯაფარიძე, გიორგი ჯიქია.

## სპექტაკლის შესახებ:

მართა და მამია სოფლად დარჩენილი მშობლები არიან, რომელთა მოგონებებს და დანაშაულის გრძნობას სახლიდან გაქცეული ერთადერთი შვილის სიკვდილი აღვიძებს. ამ დროს მთელი ძალით იწყებს ყვირილის შეგრძნება, რომ მათ მისი მხარდაჭერის ნაცვლად საზოგადოების ჩაკეტილ ხმას აუწყეს ფეხი. საზოგადოების, რომელსაც თანაგრძნობა არ შეუძლია მაშინაც კი, როცა თვალწინ სიკვდილი უდგას. ერთადერთ ნუგეშად მშობლებს მათი გარდაცვლილი შვილის ორი მეგობრის პანაშვიდზე გამოჩენა ევლინებათ, რასაც სიხარულის გარდა უხერხულობის შეგრძნებაც ახლავს თან. შეძლებენ კი მშობლები სიკვდილის შემდეგ მაინც მიიღონ შვილი ისეთი, როგორიც ის რეალურად იყო? რა დაემართათ მათ? რატომ დაკარგეს თანაგრძნობის უნარი ან საერთოდ სად გაქრა ეს ყველაფერი? როგორ შევძელით აღმოვჩენილიყავით სპექტაკლში, რომელსაც მაყურებელი აღარ დარჩა?!..

## ALEX CHIGVINADZE

# SPINELESS

**DATE OF THE PREMIERE:**
1/2 JULY

**DURATION:**
90 MINUTES,
WITHOUT A BREAK





**Director:** Ioane (Vano) Khutsishvili
**Scenography:** Giorgi Gorgiashvili
**Costumes Designer :** Giorgi Gorgiashvili
**Composer / musical adaptation:** Giorgi Jikia
**Assistant to the director:** Sopho Orjonikidze

**Cast:** Nineli Chankvetadze, Goga Pipinashvili, Nina Lortkipanidze, Luka Japaridze, Giorgi Jikia

**About the Performance:**

Martha and Mamia are ordinary villager parents whose son's death awakes many memories and guilty feelings in their mind. Gradually these painful thoughts torture them. What if they chose the underdeveloped society membership instead of supporting their son? Society that does not know compassion at all. Parents only comfort is a visit of two friends of their dead son, but except for happiness this situation brings inconvenience as well. Will parents be able to accept their son as he was? What happened to them? Where respect, love or all these things disappeared at the same time? How could we create a play like this, which doesn't have left any of spectators?

# ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი

## თეატრის შესახებ:

ილიაუნის თეატრი, რომელიც 2010 წელს გაიხსნა ვაკის თეატრალური სარდაფის ბაზაზე, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი პროფესიული თეატრია.
ილიაუნის თეატრის ძირითადი მისია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური მიმართულების სტუდენტების პროფესიული ზრდა და ტრენინგია. თეატრის ბაზაზე ამჟამად ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა “ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში”. თეატრი ყოველთვის ღიაა ახალგაზრდა რეჟისორებისა და ხელოვანებისათვის, სიამოვნებით ერთვება მათ ექსპერიმენტებსა და ინოვაციურ პროექტებში.
ილიაუნის თეატრის პროფესიულ წარმოდგენებში ცნობილი მსახიობების გვერდით ხშირად არიან დაკავებულები უნივერსიტეტის სტუდენტები და კურდამთავრებულები, რაც მათი პროფესიული ზრდისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. თეატრი ანტრეპრიზის პრინციპზე მომუშავე შემოქმედებითი სივრცეა, მას არა ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი და მუდმივმოქმედი დასი. ყოველი ახალი წარმოდგენისათვის რეჟისორისა და მსახიობების მოწვევა ხელახლა ხდება სხვადასხვა თეატრებიდან.

### საკონტაქტო პირი:

ნათია კვაშალი (საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი)
Tel: +995 597 76 00 74
E-mail: natia.kvashali@iliauni.edu.ge

# THE ILIA STATE UNIVERSITY THEATRE



## ABOUT THE THEATER:

The Ilia State University Theatre, the first and for the time being only professional theatre in Georgian higher education setting, was opened in 2010 on the premises of once celebrated Theatre Basement in Vake.
The main mission of the Theatre is to provide basis for professional training and development of Ilia State University Students in Theatre Arts. Now the theatre provides its assistance for the Master's Degree Programme "Live Theatre Arts: Acting and Directing". The Theatre is always open for young directors and arts professionals and participates eagerly in their experiments and innovative projects.
The performances of the Iliauni Theatre often includes students and alumni of Ilia State University Arts Programmes, providing an important training for their future professional life. The Theatre operates as a venture project, inviting each time anew different directors and groups of actors for its performances. Hence, it is not governed by an artistic director and has no permanent group of actors.

### Conact Person:

Natia Kvashali (Responsible for Audience and Public Relations)
Tel: +995 597 76 00 74
Email: natia.kvashali@iliauni.edu.ge

# დავით კლდიაშვილი
# დარისპანის გასაჭირი

**პრემიერის თარიღი**
12.04.2023

**ხანგრძლივობა:**
1 საათი და 10 წუთი,
ანტრაქტის გარეშე





**რეჟისორი:** საბა ასლამაზიშვილი
**სცენოგრაფია:** მარიამ კალატოზიშვილი
**კოსტიუმების მხატვარი :** სანდრო მარგველაშვილი
**ქორეოგრაფი:** დეა აბაკელია
**კომპოზიტორი / მუსიკალური გაფორმება:** ნინო სიხარულიძე
**რეჟისორის თანაშემწე:** თამუნა კამლაძე

**მონაწილეობენ:** ლავა ნათენაძე, ლილი ხურითი, მაია ხორნაული, ნინა ყიფშიძე, მაშიკო თვალაბეიშვილი, თორნიკე კაკულია

**სპექტაკლის შესახებ:**

თქვენს წინაშეა საუკუნის წინანდელი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაატარებს დარისპანი ოთხი გასათხოვარი ქალიშვილიდან ერთ-ერთს წინ და უკან, მეგობრებსა და ნათესავებში, მოყვრებსა და მეზობლებში, რომ როგორმე უპოვოს შესაფერისი ქმარი და უზრუნველყოს მისი მომავალი.
ეს ამბავი, ერთდროულად  ტრაგიკული და ღიმილისმომგვრელი, უზარმაზარი სიყვარულითაა გაჟღენთილი ქვეყნის მიმართ, რომელსაც „ჰკლავდნენ და არ კვდებოდა“. ეს ამბავი გაქრილი ვაშლივით ჰგავს ჩვენი ქვეყნის ბედს, რომელიც დარისპანივით გამოსავალს სხვაგან ეძებს: სხვების დახმარებაში, სხვაზე „მითხოვებაში“, დალხენილი ყოფის ილუზიაში, რომელიც ბუმერანგივით ბრუნდება და კიდევ უფრო დიდ უიმედობას იწვევს.
რა უფრო მნიშვნელოვანია, თავისუფლება, თუ უზრუნველი ცხოვრება?
რეჟისორი და მსახიობები მაყურებელთან ერთად ეცდებიან იპოვნონ გზა, რომელიც ხელს შეუწყობს დარისპანის ოჯახის და, ამავდროულად, საქართველოს მომავალის გადარჩენას.

DAVID KLDIASHVILI

# THE MISFORTUNE OF DARISPAN

**DATE OF THE PREMIERE:**
12.04.2023

**DURATION:**
70 MINUTES WITHOUT INTERMISSION





**Director:** Saba Aslamazishvili
**Scenography:** Mariam Kalatozishvili
**Costumes Designer:** Sandro Margvelashvili
**Choreographer:** Dea Abakelia
**Composer / musical adaptation:** Nino Sikharulidze
**Assistant to the director:** Tamuna Kamladze

**Cast:** Slava Natenadze, Lili Khuriti, Maia Khornauli, Nina Kipshidze, Mashiko Tvalabeishvili, Tornike Kakulia

**Short annotation about performance:**

Presenting a century-old story of how a Georgian gentry Darispan wanders with one of his four unmarried daughters Karozhna from doorstep to doorstep, from friends to relatives, from acquaintances to neighbours to somehow secure a decent husband for her to ensure that her future is taken care of.
This story, tragic and comic at the same time, is saturated with enormous love towards the country which "was always shot at but has never died". This story is a spitting image of the fate of our country which, like Darispan, seeks a way out elsewhere: in the help of others, in "marrying off to a worthy candidate", in the illusion of a happy life, which bounces back and causes even deeper despair.
What is more important – freedom or untroubled life?
The actors and the director together with the audience shall attempt to find a way to help Darispan's family and therefore, the country as well.


ალექს ჩიღვინაძე
უხერხემლო
პრემიერის თარიღი:
02/07/2022
ხანგრძლივობა:
1 საათი და 30 წუთი, ანტრაქტის გარეშე



**რეჟისორი:** გელა გულიაშვილი
**სცენოგრაფია:** თეო კუხიანიძე
**კოსტიუმების მხატვარი:** თეო კუხიანიძე
**რეჟისორის თანაშემწე:** მაკა მეტრეველი
**მონაწილეობენ:** მაიკო ხორნაული, გიორგი ცერცვაძე, ანიკო შურღაია, გიორგი კაკალაშვილი

## სპექტაკლის შესახებ:

როგორია საქართველოში ცხოვრება, როდესაც განსხვავებული ხარ? რა უნდა დაუპირისპირო მეგობრების, ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის გულგრილობას? როგორ უნდა გადარჩე, ან ღირს კი გადარჩენა, როდესაც არავის სჭირდები, არავის ესმის შენი? ამ ერთ ტრაგიკულ ამბავში, რომელიც დრამატურგმა ალექს ჩიღვინაძემ რეალურ ისტორიაზე დაფუძნებით დაწერა, თითქოს მთელი საზოგადოების პრობლემებია გაერთიანებგული და დაფიქრებისკენ გვიბიძგებს, როგორ შევცვალოთ ის ქვეყანა, სადაც მშობლებს საკუთარი განსხვავებული ორიენტაციის შვილის დაკრძალვა მეზობლებისგან, სოფლისგან, ქვეყნისგან მალულად უწევთ.


ALEX CHIGHVINADZE
SPINELESS
DATE OF THE PREMIERE:
02/07/2022
DURATION:
90 MINUTES, WITHOUT A BREAK



**Director:** Gela Guliashvili
**Scenography:** Teo Kukhianidze
**Costume Designer:** Teo Kukhianidze
**Assistant to the director:** Teo Kukhianidze

**Cast:** Maia Khornauli, Giorgi Tsertsvadze, Aniko Shurgaia, Giorgi Kakalashvili

**Short annotation about performance:**

What does it feel like to live in Georgia, when you are different? How can you oppose to the indifference of friends, family, society and country? How can you survive and does the survival matter at all, when no one needs you, no one understands you? One tragic story, that Alex Chighvinadze wrote is based on true events, unites the problems of the entire society and invites us to think about how to change the country in which parents are forced to bury their transgender child quietly hiding from neighbors, village, country.

# ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

## თეატრის შესახებ:

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი — ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ქუთაისის უდიდესი და უმთავრესი თეატრი.
ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის რეპერტუარი მრავალფეროვანია,სადაც ერთნაირადაა წარმოდგენილი,საბავშვო,დრამატული,სათავგადასავლო და კლასიკური ნაწარმოებები,თვალსაჩინო დრამატურგებით.იონესკოს "კუ+კოკინა "(ორთა ბოდვა).შექსპირის"მაკბეტი",ვოლკოვი"ზურმუხტ ქალაქის მბრძანებელი".ა.სარამოვიჩი "ტესტოტესტერონი",სიბლიარისი "ქარი ქრის ვერხვებში"გრილპანცერის "მედეა".ამჟამად მიმდინარეობს რეპეტიციები ბერტოლ ბრეხტის "დაფდაფები ღამით",რომლის პრემიერა გაიმართება 25 სექტემბერს ქუთაისში და წარმოდგენილი იქნება თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. იგეგმება ნინო ხარატიშვილის "ლიფ შტაინის"დადგმა. თეატრს აქვს სამომავლო გეგმები რეპერტუარი გასტოლები და აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფესტივალებში რომელიც დიდი გამარჯვებებით, ჯილდოებით და პრემიებით აიღნიშნება.

### საკონტაქტო პირი:

გიორგი თავაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი
Tel: 595458008
Email: giorgigoga@gmail.com

# KUTAISI LADO MESKHISHVILI PROFESSIONAL STATE DRAMA THEATRE



## ABOUT THE THEATER:

The repertoire of the Kutaisi Lado Meskhishvili Theatre is diverse, where children's, drama, adventure and classical works of the famous playwrights are equally represented. Eugène Ionesco's Turtle and and the Snail (Frenzy for Two), Shakespeare's Macbeth, Volkov's The Wizard of the Emerald City, Sibleyras' The Wind in the Poplars, Grillparzer's Medea, Testosterone by Andrzej Saramonowicz. Rehearsals are currently underway for Bertolt Brecht's "Drums in the Night", the premiere of which will be held on September 25 in Kutaisi and will be presented at the Tbilisi International Theatre Festival. It is planned to stage Nino Kharatishvili's "Liv Stein".The theatre has future plans, repertoire, tours and is actively involved in various international and local festivals, which are marked by great victories, awards and prizes.

**Conact Person:**

Giorgi Tavadze, Artistic Director
Tel: 595 458 008
Email: giorgigoga@gmail.com



ბერტოლდ ბრეხტი

# დაფდაფები ღამით

**პრემიერის თარიღი:**
25/09/2023

**ხანგრძლივობა:**
1 საათი და 30 წთ, შესვენების გარეშე



**რეჟისორი:** ნიკოლოზ საბაშვილი
**სცენოგრაფია:** თეო კუხიანიძე
**კოსტიუმების მხატვარი:** თეო კუხიანიძე
**ქორეოგრაფი:** გიორგი ქართველიშვილი
**კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება:** ნიკოლოზ საბაშვილი
**რეჟისორის თანაშემწე:** ინგა მესხორაძე

**მონაწილეობენ:** აბელ სოსელია, ნინო ჭოლაძე, ალექსანდრე ტოროტაძე, მარიკა სამანიშვილი, გიორგი შალამბერიძე, დავით გაჩეჩილაძე, გელა ებანოიძე, დავით როინიშვილი, თორნიკე იმედაძე, გიორგი ქართველიშვილი

**სპექტაკლის შესახებ:**

ბერტოლტ ბრეხტის„დაფდაფები ღამით“ცნობილი პიესაა, რომელიც სასცენო კლასიკად იქცა. ავტორის ნაწარმოების "მიუნხენის პერიოდის" პიესა მოგვითხრობს არაგმირების პირად ისტორიაზე, არამედ ადამიანზე, რომელიც შორდება სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლას. სიყვარული ომის ფონზე - ლაითმოტივად გასდევს ბრეხტის შემოქმედებას. პიესა 1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ნოემბრის რევოლუციის შემდეგ დაიწერა, რომელიც მძაფრად ასახავს ომისშემდგომ ტრაგიკულ განწყობილებებს. მოქმედების ცენტრში ანა ბალიკეს პერსონაჟი დგას, რომლის შეყვარებულიც (ანდრეასი) პირველი მსოფლიო ომის დროს საბრძოლველად წავიდა. ომი დასრულდა, თუმცა ანდრეასი არ გამოჩენილა. ანას მშობლები შვილს ანდრეასის სიკვდილში არწმუნებენ და გოგონას სამხედრო ტექნიკის მდიდარ მწარმოებელზე - მარკეზე აქორწინებენ. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ანდრეასი, როგორც სამხედრო ტყვე ამ დროის განმავლობაში აფრიკაში იმყოფებოდა. დაბრუნებული ანდრეასი ცდილობს ანას ნახვას. დასასრულს მშობლების მკაცრი პოზიციის მიუხედავად ანა ტოვებს მარკეს და კვლავ ძველ სიყვარულს უბრუნდება. პიესა მთელი სიმძაფრით ასახავს ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების იმედგაცრუებას, რომლებმაც ამ დროის განმავლობაში ყველაფერი დაკარგეს. ხოლო მარკეს მსგავსი ადამიანები გამდიდრდნენ.ირგვლივ განადგურება, იმედგაცრუება, მოუსვენრობა და კრიზისი სუფევს. ადამიანები, რომლებმაც მოახერხეს ომში ფულის შოვნა ცხოვრების ოსტატები არიან. დანარჩენებს, განსაკუთრებით ომიდან დაბრუნებულებს, არაფრად აგდებენ. ჯარისკაცი ანდრეას კრაგლერი კი, რომელიც ომის შემდეგ დაბრუნდა, აღმოაჩენს, რომ არავის სჭირდება. სასიყვარულო სამკუთხედი, ისტორიული კატასტროფები და ომის აბსურდულობა - ეს ის თემებია, რომელითაც გაჯერებულია როგორც პიესა, ისე სპექტაკლი.



BERTOLT BRECHT

# DRUMS IN THE NIGHT

**DATE OF THE PREMIERE:**
25/09/2023

**DURATION:**
90 MINUTES, WITHOUT A BREAK



**Director:** Nikoloz Sabashvili
**Scenography:** Teo Kukhianidze
**Costumes Designer :** Teo Kukhianidze
**Choreographer:** Giorgi Kartvelishvili
**Composer / musical adaptation:** Nikoloz Sabashvili
**Assistant to the director:** Inga Meskhoradze

**Cast:** Abel Soselia, Nino Tcholadze, Aleksandre Torotadze, Marika Samanishvili, Giorgi Shalamberidze, Davit Gachechiladze, Gela Ebanoidze, Davit Roinishvili

**About the Performance:**

The famous play by Bertolt Brecht "Drums in the Night" has become a classic of the theatre stage. Author's "Munich Period" play tells not the personal stories of the heroes, but about a person who turns away from the struggle for social justice. Love against the backdrop of war is the leitmotif of Brecht's works. The play was written in 1919, immediately after the end of the First World War, after the November Revolution, which strongly reflects the tragic post-war atmosphere. In the centre of the action is the character of Anna Balicke. Her loved one Andreas went to fight during the First World War. The war ended, but Andreas did not appear. Anna's parents convince their daughter of Andreas' death and marry the girl to Murk, a rich manufacturer of military equipment. It eventually turns out that Andreas was in Africa as a prisoner of war during this time. Back Andreas tries to see Anna. At the end, despite the strict position of her parents, Anna leaves Murk and returns to her old love.
The play vividly depicts the disappointment of the soldiers returning from the war having lost everything during this time. And people like Murk got rich. Destruction, frustration, anxiety and crisis are all around. People who managed to make money on the war are masters of life. The rest, especially those returning from front, are thrown away. And the soldier Andreas Kragler, who returned after the war, finds out that no one needs him. A love triangle, historical catastrophe and the absurdity of war - these are the themes with which both the play and the performance are filled.

# ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

## თეატრის შესახებ:

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ამიერკავკასიაში პირველი საბავშვო თეატრია, რომელიც 1927 წელს დაარსდა და მას შემდეგ, უკვე თითქმის ერთი საუკუნეა ერთგულად ემსახურება დედაქალაქის და რეგიონების მაყურებელს. დღეს თეატრის რეპერტუარი ძალიან მრავალფეროვანია, იდგმება როგორც ქართული დრამატურგია, ისე თარგმნილი კლასიკა თუ თანამედროვე პიესები, ცნობილი საბავშვო ავტორების ნაწარმოებები. სხვა საბავშვო თეატრების მსგავსად, მოზარდ მაყურებელთა თეატრიც თავის რეპერტუარს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებად ყოფს: 4-8 წელი - წარმოდგენები პატარებისთვის, 8-12 - წლის მოზარდებისათვის, 13-18 - წარმოდგენები თინეიჯერებისათვის და საღამოს სპექტაკლები 18+ ასაკის მაყურებლისთვის.

2012-იდან დიდ და მცირე სცენებთან ერთად ფუნქციონირებს ექსპერიმენტული სივრცე, სადაც რეჟისორებს თავიანთი შემოქმედებითი ექსპერიმენტების განხორციელების საშუალება ეძლევათ.

თეატრი ცდილობს გააცნოს თავისი შემოქმედება მაყურებელს თბილისის ფარგლებს გარეთაც, მართავს გასტროლებს როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე საზღვარგარეთ, ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა საბავშვო და დრამატული თეატრების ფესტივალებში: თურქეთი, უნგრეთი, იაპონია, რუსეთი, სერბეთი, ალბანეთი, პოლონეთი, ბელორუსი, შოტლანდია, გერმანია, მალტა, იტალია, უკრაინა და ა.შ.

### საკონტაქტო პირი:

სოფიო დეკანოზიშვილი
Tel: 551087764
E-mail: youththeatretbilisi@gmail.com

# THE NODAR DUMBADZE THEATER FOR YOUNG AUDIENCES



## ABOUT THE THEATER:

Nodar Dumbadze State Youth Theater, founded in 1927, is the first children's theater in Transcaucasia and has been serving the audience of the capital city and regions for almost a century. With a diverse repertoire that includes Georgian dramaturgy, translated classics, modern plays, and works of famous children's authors, the theater offers performances for different age groups, ranging from 4 to 18 years old, as well as evening performances for adult audiences. In addition to its large and small stages, the theater has been operating an experimental space since 2012, which provides a platform for directors to carry out their creative experiments. The theater is committed to introducing its creations to audiences outside of Tbilisi as well and has toured countries such as Italy, Hungary, Belarus, Turkey, Albania, Serbia, Ukraine and many more. The theater's dedication to nurturing young talent and providing a space for artistic experimentation has made it a beloved institution among audiences and artists alike. Its commitment to expanding its reach beyond the borders of Georgia has helped to showcase the rich cultural heritage and contemporary artistic scene of the country to the world.

**Conact Person:**

Sophia Dekanozishvili
Tel: 551087764
Email: youththeatretbilisi@gmail.com



# ნოდარ დუმბაძე
# HELLADOS

**პრემიერის თარიღი:**
12.05.2023

**ხანგრძლივობა:**
55 წუთი



**რეჟისორი:** ნატალია გალოგრე
**სცენოგრაფია:** ნატალია გალოგრე
**კოსტიუმების მხატვარი:** ნატალია გალოგრე
**ქორეოგრაფი:** გია მარღანია
**კომპოზიტორი / მუსიკალური გაფორმება:** ნატალია გალოგრე
**რეჟისორის თანაშემწე:** ქეთი ქანთარია

**მონაწილეობენ:** ალექსანდრე შარაბიძე, ნიკოლოზ ხრიკული, ნათია კუპატაძე, სოფიო ებრალიძე, გიორგი კაჭახიძე, დავით როსტომაშვილი, მარიკა გოგიჩაიშვილი, ქეთი ქიტიაშვილი, თამარ ქადაგიძე, ალექსანდრე კვეზერელი, ნიკოლოზ ჭკადუა, ლევან ხვთისიაშვილი, გეგა შონია, ვახტანგ ახალაძე, გოგა ბერიძე

**სპექტაკლის შესახებ:**

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი „HELLADOS“ ნოდარ დუმბაძის ამ ცნობილი, კლასიკად ქცეული ნაწარმოების ახლებური ვერსიაა, რომლის ინსცენირება თავად ახალგაზრდა რეჟისორს, ნატალია გალოგრეს ეკუთვნის. მაყურებლის თვალწინ ცოცხლდება გასული საუკუნის სოხუმი, თავისი მრავალეთნიკური მოსახლეობით. სპექტაკლში ვხედავთ ორი მოზარდის, იანგულისა და ჯემალის პაექრობას, ბრძოლას თვითდამკვიდრებისთვის, რომელიც საბოლოოდ გულწრფელ მეგობრობაში, ურთიერთპატივისცემაში გადაიზრდება. „სამშობლო უფრო ღრმადაა, უფრო შიგნით“ – ამბობს ბერძენი იანგული და სწორედ ეს განცდა ეძახის მას სოხუმისკენ დასაბრუნებლად, როცა მამასთან და უამრავ ადამიანთან ერთად, გემით საბერძნეთში მიმავალი საბედისწერო გადაწყვეტილებას იღებს. წარმოდგენა ეხება ისეთ მარადიულ ფასეულობებს, როგორიცაა მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული, ტოლერანტობა, თავგანწირვა.




NODAR DUMBADZE

# HELLADOS

**DATE OF THE PREMIERE:**
12.05.2023

**DURATION:**
55 MINUTES



**Director:** Natalia Galogre
**Scenography:** Natalia Galogre
**Costumes Designer:** Natalia Galogre
**Choreographer:** Gia Margania
**Composer / musical adaptation:** Natalia Galogre
**Assistant to the director:** Ketevan Kantaria

**Cast:** Aleksandre Sharabidze, Nikoloz Khrikuli, Natia Kupatadze, Sophia Ebralidze, Giorgi Katchakhidze, Davit Rostomashvili, Marika Gogichaishvili, Keti Kitiashvili, Tamar Kadagidze, Alexander Kvezereli, Nikoloz Chkadua, Levan Khvtisiashvili, Gaga Shonia, Vakhtang Akhaladze, Goga Beridze

## Short annotation about performance:

The play "HELLADOS" is a retelling of the classic work by Nodar Dumbadze, set in Sukhum of the last century, where multi-ethnic communities lived together. The story follows the friendship between two teenagers, Yangul and Jemal, as they struggle for self-discovery and eventually form a deep bond of mutual respect and loyalty.
As the Greek Yangul reflects on the true meaning of his motherland, he realizes that it is not just a physical place, but something that resides deep inside one's heart. When he makes the difficult decision to leave Sukhum and embark on a ship journey to Greece with his father and many others, he feels a strong pull to return to his homeland.
Throughout the play, the audience is reminded of timeless values such as friendship, love of country, tolerance, and self-sacrifice. As Yangul and Jemal navigate the challenges of their multi-ethnic community and the conflicts that arise, they learn to appreciate their differences and stand up for what they believe in.
In the end, the play celebrates the enduring power of human connection, the beauty of cultural diversity, and the importance of staying true to oneself and one's roots, even in the face of adversity.

# მოძრაობის თეატრი

## თეატრის შესახებ:

კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი დაარსდა 2001წელს. თეატრი აერთიანებს სასცენო ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. სპექტაკლები არავერბალურია. თეატრი ერთნაირად წარმატებით მართავს საკუთარ სპექტაკლებს როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში. ყავს თავისი მუდმივ მოქმედი დასი, მუსიკალური ბენდი. მონაწილეობას იღებს ფესტივალებში როგორც საქართველოს ისე მის ფარგლებს გარეთ. სამი წელია თეატრს საკუთარი ფესტივალი გააჩნია, სახელწოდებით „მოძრაობის,ცეკვის და ფიზიკური თეატრის საერთაშორისო ფესტივალი".

**საკონტაქტო პირი:**

ეკატერინე ბაკურაძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
Tel: 599624034
E-mail: bakuradze_ekaterine@yahoo.com

# KAKHA BAKURADZE MOVEMENT THEATER



## ABOUT THE THEATER:

Kakha Bakuradze Movement Theater was founded in 2001. The theater combines various branches of performing arts. Performances are non-verbal. The theater manages its performances both indoors and outdoors with equal success. It has its own permanent band, a musical band. He takes part in festivals both in Georgia and abroad. For three years, the theater has had its own festival called "International Festival of Movement, Dance and Physical Theater".

**Contact Person :**

Ekaterine Bakuradze
Tel: 599624034
Email: bakuradze_ekaterine@yahoo.com

# სონეტები
## (შექსპირის სონეტების მიხედვით)

**პრემიერის თარიღი:**
06.07.2022

**ხანგრძლივობა:**
60 წუთი შესვენების გარეშე





**რეჟისორი:** ლაშა რობაქიძე
**სცენოგრაფია:** კახა ბაკურაძე
**კოსტიუმების მხატვარი:** ტატო  გელიაშვილი
**ქორეოგრაფი:** ლაშა რობაქიძე
**კომპოზიტორი / მუსიკალური გაფორმება:** სანდრო ნიკოლაძე,
მიხეილ ზაქაიძე
**რეჟისორის თანაშემწე :** კახაბერ არევაძე

**მონაწილეობენ:** ანა თალაკვაძე, თამარ ჩხეიძე,მარიამ ენგურელი,
ნანა ბიბილაშვილი, მიხეილ ზაქაიძე, ლაშა რობაქიძე, კოტე ლიპარტელიანი

**სპექტაკლის შესახებ:**

პლასტიკაში გაცოცხლებული კლასიკური პოეზია, ცეკვის ელემენტებით და საავტორო მუსიკით გაჯერებული.  ერთი საათის განმავლობაში, მსახიობები, სხეულის ენით, ჟესტებით, პლასტიკით უზიარებენ მაყურებელს  სონეტებში აღწრილ გრძნობებს, განწყობებს, სიყვარულის ისტორიებს.

# WILLIAM SHAKESPEARE
# SONNETS

**DATE OF THE PREMIERE:**
06.07.2022

**DURATION:**
60 MINUTES, WITHOUT A BREAK





**Director:** Lasha ROBAKIDZE
**Scenography:** KAKHA BAKURADZE
**Costume Designer:** TATO GELIASHVILI
**Choreographer:** LASHA ROBAKIDZE
**Composer / musical adaptation:** Sandro Nikoladze, Mikheil Zakaidze (Michel Ziben), Davit Kakuli, Nata Mikhailovna
**Assistant to the director:** Kakha Arevadze

**Cast:** Ana Talakvadze, Tamar Chkheidze, Mariam Engureli, Nana Bibilashvili, Mikheil Zakaidze, Lasha Robakidze, Kote Liparteliani

**Short annotation about performance:**

Ana Talakvadze, Tamar Chkheidze, Mariam Engureli, Nana Bibilashvili, Mikheil Zakaidze, Lasha Robakidze, Kote Liparteliani

# ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ:

1973 -74 წლებში, თბილისში რეჟისორმა და დრამატურგმა სანდრო მრევლიშვილმა თანამოაზრეებთან ერთად დაარსა საბჭოთა კავშირში ერთერთი პირველი სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრი „მეტეხის თეატრი“. ის განთავსებული იყო მეტეხის ტაძარში. საბჭოთა იმპერია ებრძოდა რელიგიას. ტაძრების უმეტესობაში საწყობები და ნაგავსაყრელები იყო მოწყობილი. თეატრი და ქართული სიტყვა კი, აკეთილშობილებდა უძველეს კედლებს. 1989 წელს, დაიწყო საბჭოთა კავშირს დაშლა და თეატრმა ტაძარი ეკლესიას დაუბრუნა.
„მეტეხის თეატრის“ მემკვიდრედ შეიქმნა თბილისის მუნიციპალური თეატრი „გლობუსი“. თბილისში, ალექსანდრეს ბაღში დაიდგა თეატრალური ნაგებობა. 2007 წელს სანდრო მრევლიშვილმა პოლიტიკური შეხედულებების გამო დატოვა თეატრი, დაიშალა დასი შეჩერდა შემოქმედებითი პროცესი. განადგურდა თეატრის შენობა. 2014წელს სანდრო მრევლიშვილი დაბრუნდა თეატრში. აღდგა შემოქმედებითი პროცესი. თეატრმა ბინა რუსთაველის გამზ. N 19-ში დაიდო. დასი შეივსო ახალგაზრდა მსახიობებით. შედგა ახალი რეპერტუარი.
2021 წლის, 10 თებერვალს თეატრს „გლობუსი“ სანდრო მრევლიშვილის სახელი მიენიჭა.
სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის მუნიციპალური თეატრი რუსთაველის გამზირზე N 19 - ში მცირე ზომის შენობაშია განთავსებული. დასი, სხვადასხვა თაობის, სანდრო მრევლიშვილის მიერ აღზრდილი მსახიობებით არის დაკომპლექტებული, თეატრი ღიაა ახალგაზრდა რეჟისორებისთვის, ნოვატორული იდეებისთვის, ექსპერიმენტებისთვის. ამასთანავე ჩვენთვის მნიშვნელოვანია საშემსრულებლო თეატრალური ხელოვნების მაღალი პროფესიული კულტურის დაცვა, განვითარება.სანდრო მრევლიშვილის შემოქმედებითი და პროფესიული მემკვიდრეობის განვრცობა და ახალი თეატრალური გამომსახველობითი ფორმების ძიება. თეატრის სცენისა და დარბაზის პარამეტრებიდან გამომდინარე, პარტერის და სცენის სიახლოვე ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს წარმოდგენები, მაყურებლის ხელისგულზე იმართება. ეს ქმნის განსაკუთრებულ და თანამედროვე თეატრალურ სანახაობას.
საკონტაქტო პირი: შოთა გაბელაია, მენეჯერი.

### საკონტაქტო პირი:

შოთა გაბელაია, მენეჯერი.
Tel: 599 30 11 1 8; 555 3000 74
Email: globetbilisi@gmail.com

# SANDRO MREVLISHVILI TBILISI PROFESSIONAL MUNICIPAL THEATER

## ABOUT THE THEATER:

In 1973-74, director and playwright Sandro Mrevlishvili founded the first state-run youth theater in the Soviet Union with his associates in Tbilisi,"Metekhi Theater". It was located in the Metekhi temple. The Soviet Empire was fighting religion. Most of the temples had warehouses and landfills. Theater and the Georgian word ennobled the ancient walls.
In 1989, the Soviet Union began to disintegrate and the theater returned the temple to the church.
Tbilisi Municipal Theater "Globe" was established as the successor of "Metekhi Theater". A theatrical building was erected in Alexander Garden in Tbilisi. In 2007, Sandro Mrevlishvili left the theater because of his political views. The creative process was stopped at the Globe Theater. The theater building was destroyed. Sandro Mrevlishvili returned to the theater in 2014. The creative process was restored. Theater was moved on Rustaveli Ave 19. The troupe was filled with young actors. A new repertoire was made.
On February 10, 2021, the Globe Theater was named after Sandro Mrevlishvili. Sandro Mrevlishvili Tbilisi Municipal Theater operates in a small building on Rustaveli Avenue N19.
The troupe is staffed by actors brought up by Sandro Mrevlishvili of different generations, the theater is open to young directors, innovative ideas, experiments. At the same time, it is important for us to preserve and develop a high professional culture of performing theatrical art.
Expanding Sandro Mrevlishvili's creative and professional heritage and searching for new theatrical forms of expression.
Performances based on the theater stage and hall settings seem to be held in the audience's hands. It creates a special and modern theatrical spectacle.

### Conact Person:

Shota Gabelaia - Manager
Tel: 599 301118; 555 3000 74
Email: GlobeTbilisi@gmail.com



## ბერტოლტ ბრეხტი

# დედილო კურაჟი და მისი შვილები

**პრემიერის თარიღი:**
2023 წელი

**ხანგრძლივობა:**
ერთი მოქმედება 90 წთ.



**რეჟისორი:** მიხეილ მრევლიშვილი
**სცენოგრაფია:** მიხეილ მრევლიშვილი
**კომპოზიტორი / მუსიკალური გაფორმება:** მერაბ მამულაშვილი
**რეჟისორის თანაშემწე:** მაია ფარქოსაძე

**მონაწილეობენ:** სოფო მეძმარიაშვილი, გიორგი ქვრივიშვილი, ნიკა ფაიქრიძე, დაჩი ბაბუნაშვილი, ტატა მეცხოვრიშვილი, ვახტანგ ნოზაძე, ზურაბ სულხანიშვილი, ივეტა პოტიე, ქეთევან ლუარსაბიშვილი, კახა გაბელაია, გურამ ბერეკაშვილი, ბექა ქავთარაძე.

### სპექტაკლის შესახებ:

ანა ფირლინგის (დედა კურაჟის), მოხეტიალე, ვაჭარი ქალის და მისი შვილების ამბავი. ხანგრძლივი ომის მარწუხებში მოქცეული, მოხეტიალე ოჯახის ბედისწერა, რომელსაც ომი ქმნის, აპურებს და ანადგურებს.


BERTOLD BREKHT
MOTHER COURAGE AND HER CHILDREN
DATE OF THE PREMIERE:
2023
DURATION:
90 MIN, WITHOUT A BREAK



**Director:** Mikheil Mrevlishvili
**Scenography:** Mikheil Mrevlishvili
**Composer / musical adaptation:** Mikheil Mrevlishvili
**Assistant to the director:** Maia Pharkosadze

**Cast:** Sofo Medzmariashvili, Tata Mechovrshvili, Giorgi Kvrivishvili, Nika Faikridze, Dachi Babunashvili, Vakhtang Nozadze, Zurab Sulkhanishvili, Iveta Potie, Ketevan Luarsabishvili, Kakha Gabelaia, Guram Berekashvili, Beka Kavtaradze

### Short annotation about performance:

The fate of the merchant Anna Fierling and her family. She is fed by a long war. But it is the one that destroys her and her family.

# ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲬᲣᲬᲣᲜᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ:

